# ჩვენი მძლავრი იდეური იარაღი

ПРАВДА

16 მაისის მოწინავე

კომუნისტური პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს იმიტომ, რომ იგი მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმით — ერთადერთი სწორი რევოლუციური მოძღვრებით, რომელიც მშრომელი მასების ძირეულ ინტერესებს გამოხატავს. მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეებისადმი ერთგულება ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ცხოვრების საფუძველია, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წარმატებათა საწინდარია.

ჩვენმა პარტიამ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით დარაზმა ხალხი ოქტომბრის რევოლუციაში გასამარჯვებლად, შეაკავშირა სოციალიზმის ასაშენებლად ბრძოლაში და ახლა მის მეცადინეობას წარმართავს კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმის განსახორციელებლად. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მთელი საბჭოთა ხალხის იდეოლოგია გახდა, მის მეცნიერულ საფუძველზე ამყარებენ საშინაო და საგარეო პოლიტიკას კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. საბჭოთა ქვეყნის წარმატებანი, რომლებიც მსოფლიოს აოცებენ, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებაა.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საბჭოთა ადამიანებს თავიანთ მძლავრ იდეურ იარაღად მიაჩნიათ. ამ მოძღვრების დახმარებით ისინი შეიცნობენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს, არიან ახალი ცხოვრების შეგნებული შემოქმედნი. საბჭოთა ადამიანები თავიანთ ცხოვრებას აშენებენ ლენინის მოძღვრების მიხედვით. აი რატომ არის, რომ ჩვენში განუხრელად იზრდება მილიონთა ინტერესი რევოლუციური თეორიის დაუფლებისადმი. აი რატომ არის, რომ კომუნისტური მსოფლმხედველობის ათვისება ახლა თვითეული საბჭოთა ადამიანის მოთხოვნილება, საარსებო საჭიროება გახდა.

ამას წინათ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „არის მეცნიერება, რომლის უცოდნელად არ შეიძლება იყო კარგი სპეციალისტი და ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელი. ეს მეცნიერებაა მარქსიზმ-ლენინიზმი. ამიტომ პოლიტეკონომიის, ფილოსოფიის, კლასობრივი ბრძოლის ისტორიის ცოდნა, მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებთა ცოდნა იმას ნიშნავს, რომ სწორად გვესმოდეს წარსული და აწმყო, ნათლად ვხედავდეთ კაცობრიობის მომავალს".

პარტია მუდმივად ზრუნავს იმისათვის, რომ კომუნისტებმა და უპარტიოებმა ღრმად შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური თეორია. დიდი სარგებლობით რომ ვემსახუროთ ხალხს, შეგნებულად ვაშენოთ ახალი საზოგადოება, გვასწავლის პარტია, ღრმად უნდა დავეუფლოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებებს, შევიცნოთ საზოგადოებრივი განვითარების კანონები. პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს ბრძოლა ჩვენი საზოგადოების ყველა მშრომელის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, მთელი მოსახლეობის კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის, რაც პარტიის XXII ყრილობამ დაგვისახა. პოლიტიკური განათლების სისტემა გახდა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ლენინური უნივერსიტეტი, რომელშიც ოც მილიონზე მეტი კომუნისტი და უპარტიო სწავლობს.

კომუნიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის საფუძველია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის უკვდავი ქმნილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი და სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, მოძმე პარტიათა 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტები, რომლებშიც განსაზღვრულია კომუნისტური მოძრაობის ლენინური ხაზი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ფართოდ გავრცელება ხალხის იდეურ-პოლიტიკური განათლების უდიდეს მასშტაბებს მოწმობს. ვ. ი. ლენინის შრომები საბჭოთა ადამიანების ნიადაგ სახმარი წიგნი გახდა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ისინი სსრ კავშირში გამოიცა სამას მილიონ ეგზემპლარზე მეტი საერთო ტირაჟით 93 ენაზე.

ჩვენი პარტია მუდამ ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება ნიშნავს იმას, რომ შეგვეძლოს შემოქმედებითად გამოვიყენოთ და განვავითაროთ ეს დიადი მოძღვრება შეცვლილი ისტორიული პირობების შესაბამისად. ცნობილია, თუ რა შეურიგებლად იბრძოდა ვ. ი. ლენინი სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, თეორიის გაქვავების წინააღმდეგ, შემოქმედებითი მარქსიზმისათვის, რომელიც განუხრელად მდიდრდება რევოლუციური პრაქტიკით, მასების ისტორიული შემოქმედებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წმიდად ასრულებს ლენინის იმ ანდერძს, რომ შემოქმედებითად მივუდგეთ თეორიას. ლენინური ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ითვალისწინებს თანამედროვე პირობებს, განაზოგადებს ხალხის მასების გამოცდილებას, ჩვენი პარტიისა და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ისტორიულ გამოცდილებას.

ახლა, როცა ჩინელი ხელმძღვანელები დაადგნენ ინტერნაციონალური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპების უხეში დამახინჯების გზას, მარქსის, ენგელსის, ლენინის უმნიშვნელოვანეს დებულებათა რევიზიის გზას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის მტკიცე, თანმიმდევრულ, ღრმად პრინციპულ ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის ანტილენინური პოზიციების იდეური მხილებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა დაგვისახა ამოცანა — მტკიცედ დავიცვათ ჩვენი პარტიის ლენინური კურსი, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა. პლენუმის მასალებში კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვეს უმნიშვნელოვანესმა თეორიულმა პრობლემებმა, რომლებიც დაამუშავა ჩვენმა პარტიამ ამ უკანასკნელ წლებში. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ასახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ზრუნვას სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძირეული ინტერესებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების, მშვიდობისა და კომუნიზმის საქმის განმტკიცებისათვის.

თანამედროვე პირობებში, როცა კომუნიზმის მშენებლობა მთელი ხალხის საქმე გახდა, როცა მსოფლიოში წარმოებს მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლა, განსაკუთრებით საჭიროა კადრების ღრმა თეორიული შეიარაღება, კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის იდეური წრთობა. ეს ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. კომუნისტები მოწოდებული არიან უჩვენებდნენ მაგალითს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დაუცხრომელ შესწავლასა და აქტიურ, მგზნებარე პროპაგანდაში.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს მასების იდეურ-პოლიტიკური განათლების სრულყოფისათვის. ამაღლდა სწავლების იდეურ-თეორიული დონე, დიდად განვითარდა პოლიტიკური თვითგანათლება. თეორიის დაუფლება სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრებას, წარმოების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, ადამიანთა აღზრდას კომუნიზმის მორალური კოდექსის სულისკვეთებით. ჩვენი კადრები უფრო ღრმად ეუფლებიან მოვლენათა ანალიზის მარქსისტულ მეთოდს. გაიზარდა ცხოველი ინტერესი სკკპ ისტორიის, ჩვენი პარტიის პროგრამის, ეკონომიური თეორიის ღრმად შესწავლისადმი, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის ყოველმხრივი ანალიზისადმი. უფრო აქტიურად წარმოებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა. დიდი პოპულარობა მოიპოვა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ისეთმა მასობრივმა ფორმებმა, როგორიც არის კომუნისტური შრომის სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები, სასწავლო კომბინატები, ლექტორიუმები.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ პარტიული პროპაგანდის საყურადღებო გამოცდილება, პროპაგანდისტებს დაეხმარონ მუშაობის ლენინური სტილის დაუფლებაში, დაუცხრომლად იზრუნონ კომუნისტების, ყველა მშრომელის იდეური წრთობისათვის. საჭიროა მტკიცედ ვიბრძოლოთ ზოგან შემორჩენილი იმ ძველი სენის რეციდივების წინააღმდეგ, რომლის გამო სწავლა მოწყვეტილია კოლექტივების ამოცანებს, ვიბრძოლოთ მედავითნეობისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ.

ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდა კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი საზრუნავია. ამას გვავალებს სკკპ პროგრამა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პარტია მიზნად ისახავს მთელი მოსახლეობის აღზრდას მეცნიერული კომუნიზმის სულისკვეთებით, რათა მშრომელებს ღრმად ესმოდეთ მსოფლიო განვითარების მიმდინარეობა და პერსპექტივები, სწორად ერკვეოდნენ ჩვენი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებში, შეგნებულად აშენებდნენ ცხოვრებას კომუნისტურად.

## შვიდწლედის მოწინავენი







ამ სურათებზე გამოსახული ვაჟკაცები პროფესიით, შრომითი საქმიანობითა და შესახედაობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ერთმანეთს ჰგვანან სამშობლოს საკეთილდღეოდ ერთგული, ენერგიული შრომით. ესენი არიან შვიდწლედის მოწინავე ადამიანები. ზემოთ — თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეფოლადე ვ. ლუტიძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 120-140 პროცენტით ასრულებს. შუაში — ბ. გორგოშიძე, ბათუმის გემთსამშენებლო ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს ერთ-ერთი უბნის უფროსი. მისი უბანი ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. ქვემო სურათზეა ბათუმის კოფეინის ქარხნის კოფეინის საამქროს დამონტაჟებაზე მომუშავე ს. ბერიძე. ისიც დავალებას სისტემატურად 120 პროცენტით ანაღდებს.

* * *

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ბ. დადვაძისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი. № 114 (12930) | კვირა, 17 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.


# ნილოსი გადახიდულია

## ნ. ს. ხრუშჩოვი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

15 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მიწვევით იმყოფებოდა მეწამულ ზღვაში რას-ბენასის რაიონში თბომავალ „სირიაზე". მასთან ერთად, როგორც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სტუმრები, თბომავალზე იყვნენ ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა და ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდელ სალამ მუჰამედ არეფი და მათი თანმხლები პირები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და სამი არაბული სახელმწიფოს პრეზიდენტებს შორის გაიმართა გულახდილი მეგობრული აზრთა გაზიარება ფართო წრის საკითხებზე, კერძოდ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ალჟირისა და ერაყის როლზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ, ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში და ამ ქვეყნების შემდგომი განვითარების გზებზე.

ასუანი, 16 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი ნასერი, ალჟირის პრეზიდენტი ბენ ბელა და ერაყის პრეზიდენტი არეფი რას-ბენასიდან ასუანში დაბრუნდნენ.

ასუანი, 16 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ფ. ნოსოვი და ვ. დუგანოვი იუწყებიან:

აფრიკის მძლავრი მდინარის ნილოსის გადახიდვის დასკვნითი ისტორიული ეტაპი განხორციელდა 16 მაისს შუადღისას.

კვლავ ათეულ ათასობით ადამიანი — მაღლივი კაშხალის მშენებლები, ქალაქ ასუანის მცხოვრებლები და მრავალი სტუმარი შეიკრიბნენ კაშხალზე მდინარის ორივე ნაპირიდან.

გემ „ლოტოსით" კაშხალს მიუახლოვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი ნასერი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა და ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდელ სალამ არეფი.

ვიწრო განაკადთან, რომლის სიგანე სულ 2-3 მეტრი და სიღრმე დაახლოებით ერთი მეტრია, ჩამწკრივებულან გრანიტის ლოდებით დატვირთული „მაზის" მარკის მძიმე თვითმცლელები, რომლებიც უკანასკნელ კუბურ მეტრ ლოდებს ჩაყრიან განაკადში, რათა სამუდამოდ გადაუღობონ გზა ნილოსის წყალს ძველი კალაპოტით.

გემი „ლოტოსი" განუწყვეტელი „ვაშას" შეძახილებში, მოზეიმე ხალხით გაჭედილი კატარღების, ბუქსირების, კარჭაპებისა და ნავების გარემოცვაში ნელა უახლოვდება კაშხალს და ჩერდება განაკადთან.

გაისმის სირენების მისასალმებელი ხმები, ერთი წამითაც არ წყდება ოვაცია.

ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი ნასერი მიესალმებიან მშენებლებს, რომლებიც კაშხალზე შეკრებილან. ყველგან მოზეიმე ადამიანები ჩანან. ისინი ადგან თვითმცლელთა სახურავებზე, ამწეთა ისრებზე, ბულდოზერებზე, აფრიალებენ საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის ალმებს.

12 საათი და 30 წუთია. რაკეტების ზალპებმა ცაში ატყორცნეს სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. კვლავ გაისმის ხანგრძლივი „ვაშა", შეძახილები: „გაუმარჯოს არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!", „გაუმარჯოს ხრუშჩოვს!", „გაუმარჯოს ნასერს!". ნიკიტა სერგის ძეს ხელში უჭირავს თეთრი მტრედი — მშვიდობის სიმბოლო. იგი მას შეკრებილთ უჩვენებს, პასუხად კი ათასობით ადამიანი არაბულ და რუსულ ენებზე გაიძახის: „მშვიდობა!", „მეგობრობა!", „სალამ!", „სადაკა!".

ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი ნასერი და პრეზიდენტი ბენ ბელა მაღლა სწევენ გადაჭდობილ ხელებს. კვლავ ქუხს ოვაცია.

დადგა ყველაზე საზეიმო მომენტი. ვიწრო განაკადში ეცემა უკანასკნელი კუბური მეტრი გრანიტი. ნილოსის შტურმი დამთავრდა. ნილოსი საბოლოოდ გადახიდულია.

მარცხენა და მარჯვენა ნაპირებიდან ერთმანეთისაკენ მიეშურნენ ადამიანები. ისინი ეხვევიან ერთმანეთს, მაგრადართმევენ ხელს, მხურვალედ ულოცავენ დიდ გამარჯვებას, რომელიც შესაძლებელი გახდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სულ უფრო მზარდი თანამშრომლობისა და მეგობრობის მეოხებით.

## ელმავლები — მოსკოვიდან ურალამდე

მოსკოვი. (საკდესის კორ.). წლის დამლევამდე საბჭოთა კავშირში ელექტრიფიცირებული იქნება ორი ათას კილომეტრზე მეტი რკინიგზა. ახლა მშენებლები მუშაობენ ურალში, უკრაინაში, ყამირზე, კავკასიონის მთებში.

გორკის რკინიგზელთა მოწოდებით ელექტრიფიკატორებმა გაშალეს შეჯიბრება საექსპლოატაციოდ ობიექტების ვადამდე გადაცემისათვის. ვადამდე დაიწყო საგარეუბნო ელექტრომატარებელთა მოძრაობა საქართველოში ლილოსა და საგარეჯოს შორის, მთავრდება სამუშაოები ერევან-მასისის უბანზე.

ასზე მეტ გადასარბენზე და 70 სადგურში ჰკიდებენ საკონტაქტო სადენებს 24 წევის ქვესადგურში, ამონტაჟებენ მოწყობილობას. სექტემბერში ამუშავდება კიროვ-ბალეზინოს 250 კილომეტრი უბანი და ა. შ.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობის დროს, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 12 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციათა 153 სპეციალისტი, რომლებმაც ყველაზე კარგად გამოიჩინეს თავი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობაზე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: მთავარი საბჭოთა ექსპერტი ა. პ. ალექსანდროვი, მთავარი საბჭოთა ექსპერტის მოადგილეები ვ. გ. მოროზოვი, გ. ა. რადჩენკო, სამონტაჟო სამუშაოთა ხელმძღვანელი ა. ნ. პეტრენკო და ტექნიკოს-ოპერატორი ვ. ე. სერდიუკოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 13 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 30 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 47 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 58 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

* * *

წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 12 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის 299 სპეციალისტი და მუშა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ასუანის მაღლივი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობის დროს.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: „ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის მინისტრი მუჰამედ სიდკი სოლიმანი, ასუანის მაღლივი კაშხალის სამმართველოს დირექტორის თანაშემწე და საგვირაბო სამმართველოს უფროსი, ინჟინერი აბდელ აზიმ სიდკი თურკი, ფირმა „არაბული კონტრაქტორების" გენერალური დირექტორი ინჟინერი გამალ ედ-დინ ალი ბატრაუი, საგვირაბო სამმართველოს ინჟინერი აბდელ სალამ ისმაილ აბუ ზეიდი, ფირმა „არაბული კონტრაქტორების" მთავარი მექანიკოსი ინჟინერი აჰმედ აბდელ რაჰმან ოოფი და „ეგვიპტის რკინაბეტონის კომპანიის" (ფირმა „მისრ კონკრიტი") გენერალური დირექტორის მოადგილე ინჟინერი მუჰამედ სამი ბიჰეირი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 19 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 45 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 79 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 150 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

## საქართველოს არქიტექტორთა ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

15 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაამთავრა საქართველოს არქიტექტორთა VII ყრილობამ.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ქუთაისის მთავარმა არქიტექტორმა **დ. ნაცვლიშვილმა**, არქიტექტურის კანდიდატმა **დ. კომახიძემ** (ბათუმი), არქიტექტორებმა **თ. თევზაძემ**, **ვ. ნასარიძემ**, დოცენტმა **ლ. სუმბაძემ**, კონსტრუქტორმა **ა. ტატიშვილმა**.

საქართველოს არქიტექტორებს გულთბილად მიესალმნენ ესტონეთის წარმომადგენელი — არქიტექტურის კანდიდატი **ლ. ვოლკოვი** და ლიტვის არქიტექტორთა კავშირის მდივანი **ი. ვაშკიავიჩუსი**.

ყრილობას სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის და მოსკოვის ხუროთმოძღვართა სახელით მიესალმა საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა კავშირის მდივანი **ნ. ფილიპოვსკაია**.

ამით დამთავრდა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

ყრილობამ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობაზე მიიღეს გაშლილი რეზოლუცია, რომელშიც დასახულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

ფარული კენჭისყრით არჩეულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების — გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი 14 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ი. რ. ჩხენკელი**, თავმჯდომარის მოადგილედ — არქიტექტორი **ს. შ. კინწურაშვილი**, პასუხისმგებელ მდივნად — არქიტექტურის კანდიდატი **თ. რ. კვირკველია**.

გამგეობის საპატიო წევრებად არჩეული არიან საქართველოს უხუცესი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ნ. ჩუბინაშვილი**, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები **მ. კ. შავიშვილი** და **ა. მ. ნიკოლაიშვილი**. (საქდესი).

## „ობი" ჩავიდა ლენინგრადში

ლენინგრადი, 14 მაისი. (საკდესი). ხანგრძლივი ანტარქტიკული ნაოსნობის შემდეგ დღეს ლენინგრადში დაბრუნდა დიზელ-ელმავალი „ობი".

## თათბირი ჰიდროპონიკის საკითხებზე

მოსკოვი, 15 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს სამეცნიერო-მეთოდურმა თათბირმა ჰიდროპონიკის საკითხებზე მუშაობა განაგრძო მოსკოვში. აქამდე სამ დღეს თათბირი კიევში მიმდინარეობდა. თათბირი მოიწვია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის საკოორდინაციო მუდმივმა კომისიამ.

# მასობრიობისათვის ფიზკულტურულ მუშაობაში

ჩვენი ინტერვიუ

საუბარი საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან გ. სიხარულიძესთან.

სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი კომუნიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებთან ერთად სახავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, მასში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმას.

საბჭოთა სპორტის მასობრიობასა და მის ამაღლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობის შესახებ". მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას, პარტიული ორგანიზაციების დახმარებით, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის მონაწილეობით სათავეში ჩაუდგნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ეყრდნობიან ფართო აქტივს, მის შემოქმედებით ინიციატივას.

ახლა ამ აქტივის რიცხვმა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოებში 85.000-ს მიაღწია. ისინი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სხვადასხვა ფედერაციებში, სპორტულ სექციებში, მსაჯთა კოლეგიებში, მწვრთნელთა საბჭოებში, კომიტეტებში. სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ იმ წარმატებებს, რომლებიც რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს აქვთ საანგარიშო პერიოდში (1959-64 წ.წ.).

დღეისათვის ფიზკულტურასა და სპორტში გაერთიანებულია საქართველოს მოსახლეობის 18,5 პროცენტი, რაც თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. 1963 წლის გეგმები დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მომზადებულია 263 სპორტის ოსტატი, რაც ცხრაჯერ აღემატება 1955 წლის შედეგს. ამავე პერიოდში ჩვენმა სპორტსმენებმა დაამყარეს 231 რესპუბლიკური, 3 საკავშირო და 1 მსოფლიო რეკორდი. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ზედიზედ მეხუთე საპრიზო ადგილი მოვიპოვეთ, საკავშირო ასპარეზობებზე 32 ოქროს, 19 ვერცხლისა და 27 ბრინჯაოს მედალი დავიმსახურეთ. სსრ კავშირის ნაკრებში ჩვენი რესპუბლიკიდან 85 სპორტსმენი შედის.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია ხუთი წელია ინარჩუნებს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის გარდამავალ დროშას. დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს — საწარმოო ტანვარჯიშს, ტურიზმს, ნადირობას და სხვ. 40 წელს გადაცილებული ასაკის 80 ათასამდე ადამიანი ეწევა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ვარჯიშს. ამ მხრივ მისაბაძია მუშაობა თბილისის დიღმის მასივში. აქ მოსახლეობის ძალებით, სპორტის დამსახურებული ოსტატის პენსიონერ ი. კიზირიას დახმარებით მოაწყეს 3 ფეხბურთის, 6 კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი, მიმდინარეობს ნაყოფიერი მუშაობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

დიდი ყურადღება ექცევა იდეოლოგიურ მუშაობას, სპორტსმენთა აღზრდას, მტკიცე მორალური თვისებებისა და დისციპლინისათვის ბრძოლას.

ხვალ იხსნება საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის მეორე კონფერენცია. მოპოვებულ მიღწევებთან ერთად ჩვენს წინაშე დასახულია ახალი საბრძოლო ამოცანები — შვიდწლიანი გეგმა შევასრულოთ ექვს წელიწადში, 1964 წელს მოვამზადოთ 300 სპორტის ოსტატი, 2.000 პირველთანრიგოსანი, 57.000 მეორეთანრიგოსანი, 100.000 მშთ ნიშნოსანი და აქედანვე შევუდგეთ მზადებას სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის.

# საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

## ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი იაპონიის პრემიერ-მინისტრს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურმა ა. ი. მიქოიანმა იაპონიის პრემიერ-მინისტრ ხ. იკედასთან დელეგაციის შეხვედრის დროს გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი.

წერილში ნათქვამია, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში გაუმჯობესდა ვითარება მსოფლიოში — რამდენადმე შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა. ამ მხრივ, უეჭველია, დიდი როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ დაიდო მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში, რომელსაც ხელი მოაწერა იაპონიამაც.

საჭიროა, ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ განმტკიცდეს ნდობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში და წარმოიშვას კიდევ უფრო ხელშემწყობი პირობები მეცადინეობის გადიდებისათვის ამ მიმართულებით. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ განახორციელონ სულ უფრო ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად და რომ სსრ კავშირსა და იაპონიას შეუძლიათ შეიტანონ და კიდევაც უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ კეთილშობილურ საქმეში.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას აქვთ დიდი შესაძლებლობანი და ფართო ბაზა თანამშრომლობისათვის იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, ატომური იარაღის მოსპობას, იმას, რომ აღიკვეთოს ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში. ნ. ს. ხრუშჩოვი წერს, რომ სასარგებლო იქნებოდა, თუ საბჭოთა კავშირი და იაპონია ერთად და ერთსა და იმავე დროს გააკეთებდნენ განცხადებას, რომელშიც გამოთქვამდნენ თავიანთ საერთო მისწრაფებებს მშვიდობისადმი და მოუწოდებდნენ ატომურ სახელმწიფოთა მთავრობებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მიწისქვეშა ატომური გამოცდა.

საბჭოთა მთავრობა, აღნიშნულია წერილში, რა თქმა უნდა, მზად არის განიხილოს იაპონიის მთავრობის ყოველი წინადადება, რომლის განხორციელება განამტკიცებდა მშვიდობას და უზრუნველყოფდა უშიშროებას უწინარეს ყოვლისა შორეული აღმოსავლეთის რაიონში. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ საჭიროა მოხდეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაცია. ამას ყველაზე უკეთ გაუწევს სამსახურს საზავო ხელშეკრულება, რომლის დადებითაც ერთნაირად დაინტერესებული არიან როგორც საბჭოთა კავშირის, ისე იაპონიის ხალხები.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობა უკანასკნელ წლებში კეთილსასურველად ვითარდება. მაგრამ საჭიროა კვლავაც გადაიდგას ნაბიჯები საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის განვითარების გზაზე. ამის შესაძლებლობანი სრულებითაც არ არის ამოწურული. საბჭოთა კავშირისა და იაპონიის სავაჭრო, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობის შემდგომი განვითარება, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა კონტაქტების გაფართოება, უეჭველია, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ორივე ქვეყნის ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა იმედი, რომ იაპონიის პრემიერ-მინისტრი საბჭოთა კავშირს ეწვევა ოფიციალურ ვიზიტად ან დასასვენებლად მისთვის ყოველ მოხერხებულ დროს.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვი წერს, რომ ორი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოთა კონტაქტების განმტკიცება და საპარლამენტო დელეგაციათა გაცვლა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

(საკდესი).

## კანადის მოსახლეობა

ოტავა. (საკდესი). 1 აპრილისათვის კანადის მოსახლეობამ შეადგინა 19.180 ათასი კაცი.

## დაარღვიეს კვიპროსის საჰაერო სივრცე

ნიქოზია, 16 მაისი. (საკდესი). კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიპრიანუმ გუშინ თურქეთის ელჩს ნიქოზიაში გადასცა საპროტესტო ნოტა იმის წინააღმდეგ, რომ 14 მაისს კვიპროსის საჰაერო სივრცე დაარღვია თურქეთის ორმა თვითმფრინავმა.

## ბრძოლა გრძელდება

ნიუ-იორკი, 16 მაისი. (საკდესი). საიგონიდან 25 მილზე სამხრეთ ვიეტნამელმა პარტიზანებმა დაიწყეს ბრძოლა რეგულარული ჯარების წინააღმდეგ და გაანადგურეს დამსჯელთა რაზმი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის ქვეგანაყოფებს დაუხოცეს და დაუჭრეს 100-ზე მეტი კაცი. დაჭრილია ამერიკელი სამხედრო მრჩეველი.

## გადააკეთეს პრეზიდენტის ავტომანქანა

ნიუ-იორკი, 16 მაისი. (საკდესი). დამთავრდა პრეზიდენტის ავტომანქანის გადაკეთება, რომელშიც ჯონ კენედი მოკლეს.

მანქანაში ჩადგმულია ახალი ტყვიაგაუმტარი მინები, ხოლო სახურავი გამაგრებულია ტყვიაგაუმტარი მასალით.

უახლოეს დღეებში, იუწყება გაზეთი „დეტროიტ ფრი პრესი", ავტომობილი გადაეცემა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონს.

უკანასკნელი საათის

# განვამტკიცოთ აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობა

**აზერბაიჯანის** დედაქალაქ ბაქოში 8-11 მაისს გამართა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„ამ ბოლო წლების განმავლობაში ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო მუშათა დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მხარდაჭერით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა—დაიმსხვრა კოლონიური სისტემა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე აკოწიწებდნენ იმპერიალისტები. 50-ზე მეტმა ქვეყანამ უკვე მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ამჟამად კოლონიურ რეჟიმთა ლიკვიდაციის პროცესი საბოლოო ფაზაში შევიდა. საბჭოთა ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ გმინავენ კოლონიალიზმის უღელქვეშ, უახლოეს დროში მოიპოვებენ სახელმწიფო დამოუკიდებლობას.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენცია მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით მოუწოდებს ხალხებს განუხრელად იბრძოლონ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია ყველა კოლონიური ქვეყნისა და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. კონფერენცია მოითხოვს კოლონიური რეჟიმების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ანგოლა, მოზამბიკი, ეგრეთწოდებული „პორტუგალიის“ გვინეა, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, ბასუტოლენდი, სვაზილენდი, „ბრიტანეთის“ გვიანა, არაბეთის სამხრეთი და დედამიწის სხვა დამონებული ქვეყნები.

კონფერენციის მონაწილენი გულისწყრომით გმობენ სისხლიან რეპრესიებს, რასაც სამხრეთ აფრიკის რასისტული ხელისუფალნი იყენებენ სამხრეთ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ, და ერთსულოვნად აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის სოლიდარობის კომიტეტი უწევდა და კვლავაც ყოველთვის გაუწევს მთელ შესაძლებელ დახმარებას მამაც მებრძოლთ სამხრეთ აფრიკის განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა ადამიანები მუდამ იყვნენ და არიან არაბი ხალხების მხარეზე, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და მისი აგენტების წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში. პალესტინის პრობლემა აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია და მხარს ვუჭერთ პალესტინელთა ბრძოლას ამ პრობლემის სამართლიანი გადაჭრისათვის. კონფერენცია მხურვალედ უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამისა და სამხრეთ კორეის ხალხთა გმირულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ტაივანის სამხედრო ოკუპაციას და მტკიცედ ვუჭერთ მხარს ჩინელი ხალხის მოთხოვნას ამ კუნძულიდან ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ძალების ევაკუაციის შესახებ.

სოლიდარობის საბჭოთა კონფერენცია აცხადებს, რომ სავსებით უჭერს მხარს ყველა ფორმის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მათ შორის ხალხთა შეიარაღებულ ბრძოლასაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ მუდამ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი ნაკადია. იგი გამანადგურებელ ლახვარს სცემს იმპერიალიზმს სოციალისტურ თანამეგობრობასთან და კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან მჭიდრო კავშირითა და ურთიერთმოქმედებით. მთელი რევოლუციური ძალების ერთობა საწინდარია მსოფლიოს ხალხთა წარმატებით ბრძოლისა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ხელმძღვანელობს რა ამ ურყევი ინტერნაციონალური პრინციპით, საბჭოთა ხალხი მუდამ უწევდა, უწევს და კვლავაც გაუწევს ყოველნაირ დახმარებას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არ არის თავისუფლებისათვის მებრძოლი არც ერთი ხალხი, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით არ მიეღოს საბჭოთა კავშირის დახმარება.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენცია გადაჭრით გმობს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო და პოლიტიკურ ჩარევას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და მოითხოვს უცხოეთის სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას სხვის ტერიტორიებზე და უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან. ამერიკელ იმპერიალისტთა განუწყვეტელმა პროვოკაციებმა კუბის წინააღმდეგ, კვიპროსის, აღმოსავლეთ აფრიკის, გაბონის, პანამის ამბებმა დაგვანახვეს, რომ უცხოეთის სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე კოლონიური ბატონობის საშუალებაა, დაძაბულობას იწვევენ ამ რაიონში და საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენცია მტკიცედ უჭერს მხარს განთავისუფლებულ ხალხთა ბრძოლას ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, უცხოეთის მონოპოლიათა პოზიციების ლიკვიდაციისათვის, ეკონომიკის შექმნისათვის, რომელსაც საფუძვლად უდევს განვითარებული ეროვნული მრეწველობა.

სოციალისტური ქვეყნების მრავალმხრივი ძმური დახმარება აზიისა და აფრიკის ხალხებისადმი მათი ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში ხელს უწყობს ამ ხალხებს მოსპონ იმპერიალისტური ექსპლოატაცია.

კონფერენციის მონაწილენი მხარს უჭერენ და სავსებით იწონებენ საბჭოთა მთავრობისა და მისი მეთაურის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულების დადება, ნ. ს. ხრუშჩოვის მიმართვა მთავრობათა და სახელმწიფოთა მეთაურებისადმი მშვიდობიანი საშუალებებით სასაზღვრო ტერიტორიული დავის გადაჭრის შესახებ, შეთანხმება ატომური მუხტებით აღჭურვილი აპარატების ორბიტაზე გაყვანის აკრძალვის შესახებ და წინადადებანი სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილი ხლეჩადი მასალების წარმოების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ, რაც განხორციელდა საბჭოთა მთავრობის ინიციატივით, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობის საქმის განმტკიცებას, და ამით, ეხმარება აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობა ყოველთვის გამოხატავდა თავის ერთგულებას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისადმი და დაუცხრომლად იბრძოდა ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის. აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენციის მონაწილენი დიდად აფასებენ და იწონებენ აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობის ამ კეთილშობილურ საქმიანობას.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენცია აცხადებს, რომ ჩვენი მონაწილეობა აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობაში საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური სულისკვეთების ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. საბჭოთა ადამიანებს, რომლებმაც პირველმა მოსპეს ეროვნული ჩაგვრა და სოციალური უთანასწორობა, ძალიან სძულთ კოლონიალიზმი. მათ თავიანთი გამოცდილებით იციან ხალხთა მეგობრობის ნამდვილი ფასი, მათი ძმური თანამშრომლობა ქვეყნად თავისუფლების, სოციალური პროგრესისა და მშვიდობის იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობას აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობა მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია ფართო დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობად, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების და მრწამსის ადამიანები, და ამიტომ არავის არა აქვს უფლება თავს მოახვიოს მოძრაობას საკუთარი განსაკუთრებული შეხედულებანი, ჩაითრიოს იგი იდეოლოგიურ დისკუსიაში, რომელსაც საერთო არა აქვს რა მოძრაობის მიზნებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თვითეული ეროვნული ორგანიზაცია, თვითეული მისი წევრი უნდა მოქმედებდეს მოძრაობის შეკავშირების სულისკვეთებით, ცდილობდეს, რომ განამტკიცოს მისი კავშირი მთელ დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ძალებთან.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობის იზოლაცია სხვა საერთაშორისო დემოკრატიული ძალებისაგან, ცდები აგონ იგი რასისტულ, შოვინისტურ საფუძვლებზე, დამარცხებას მოუტანდა ამ მოძრაობას, რაც ხელსაყრელი იქნებოდა მხოლოდ ჩვენი უბოროტესი მტრებისათვის — იმპერიალისტ-კოლონიალისტებისათვის.

დიდი სინანულით აღვნიშნავთ, რომ ჩინეთის წარმომადგენლები აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობაში ადგანან პოზიციებს, რომლებიც ამ მოძრაობას უქმნიან გათიშვის, შესუსტებისა და საერთაშორისო იზოლაციის საფრთხეს. ამ პოზიციებს გმობს და უარყოფს მოძრაობის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა, რაც მოწმობს იმას, რომ იგი კვლავაც წარმატებით განვითარდება სწორი გზით. იმედი გვაქვს, რომ ჩინეთის წარმომადგენლებიც, ბოლოს და ბოლოს, შეიგნებენ რა საშიშია მათი პოზიციები და მოქმედება სოლიდარობის მოძრაობაში, და მხარდამხარ ივლიან იმათთან ერთად, ვისაც სურს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილი და სრული გამარჯვება იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმზე.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სოლიდარობის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულა, რომელიც მიზნად ისახავს აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის განმტკიცებას, და იწონებს მის საქმიანობას. კონფერენცია ავალებს კომიტეტს კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლოს აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის რიგების ერთობის განმტკიცებისათვის, ხელი შეუწყოს კოლონიური და რასისტული რეჟიმების ლიკვიდაციის დაჩქარებას, იმას, რომ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყველა ხალხმა მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობასა და სოციალურ პროგრესს, იმას, რომ განმტკიცდეს მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

კონფერენცია მხურვალედ უჭერს მხარს აფრიკა-აზიის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს ალჟირის სესიის მიმართვას კოლონიური და რასისტული რეჟიმების უსწრაფესად ლიკვიდაციის შესახებ და საბჭოთა კავშირის სოლიდარობის კომიტეტს ავალებს შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა დაცვის კამპანიის მხარდასაჭერად.

იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ყოფილ კოლონიურ ხალხთა დიდმა უმრავლესობამ მოიპოვა სახელმწიფო დამოუკიდებლობა, ამ ხალხთა ისტორიაში დაიწყო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი. ახლა ბევრი ქვეყნისათვის წინა პლანზე დადგა მათი სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის, კულტურის განვითარებისათვის, შინაგან დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანები. დარწმუნებული ვართ, რომ აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობა კიდევ უფრო განვითარდება, თუ იგი გაითვალისწინებს დროის ამ მოთხოვნებს, თუ მისი მიზნები კვლავაც შეესაბამება ხალხთა საარსებო ინტერესებს, რომლებსაც თავისუფლება, მშვიდობა და პროგრესი სჭირიათ. ამიტომ სოლიდარობის მეორე საბჭოთა კონფერენცია მტკიცედ უჭერს მხარს აფრიკა-აზიის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს, კონაკრისა და მოშის კონფერენციების, აგრეთვე ალმასკომისა და საბჭოს ნიქოზიისა და ალჟირის სესიათა დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სოლიდარობის ორგანიზაციის ეკონომიური საქმიანობის გაძლიერების შესახებ.

იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამოცანები, სოლიდარობის II საბჭოთა კონფერენცია მხარს უჭერს წინადადებებს იმის შესახებ, რომ სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნო გახდეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, გამოცდილების გაზიარების, ეკონომიური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საქმეში ხელის შეწყობის დიდმნიშვნელოვან წამოწყებათა ინიციატორი, გამოიჩინოს ინიციატივა, რათა განხორციელდეს დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებანი შიმშილის, ავადმყოფობისა და ეპიდემიების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებსაც ჯერ კიდევ მოაქვთ დიდი ტანჯვა აზიისა და აფრიკის ხალხებისათვის.

ჩვენ როდი ვარიდებთ თვალს სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობის გზაზეა, და ვითვალისწინებთ, რომ მსოფლიო რეაქციის ბანაკი, რომელსაც ამერიკის იმპერიალიზმი მეთაურობს, ჯერ კიდევ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და თავისუფლებას. მაგრამ ჩვენ გვწამს აგრეთვე მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის ძალა და უძლეველობა, განმათავისუფლებელი მოძრაობის უძლეველობა, რომელმაც ყველა კონტინენტი მოიცვა.

მთელი მსოფლიოს მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის ძალთა გარდუვალი გამარჯვების საწინდარია მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობა და შეკავშირება.

საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობა მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ერთობაზე დაყრდნობით განმტკიცდება და ახალ წარმატებებს მოიპოვებს ამ გზაზე“.

* * *

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია თავისუფლებისათვის მებრძოლთა დევნის წინააღმდეგ, რეზოლუცია აფრიკა-აზიის ხალხთა სოლიდარობის ერთობის განმტკიცების შესახებ. კონფერენცია მიესალმა იმას, რომ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფორუმი გაიმართება მოსკოვში 1964 წლის სექტემბერში.

## ვითარდება და მტკიცდება აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობა

## „საფრთხობელა“ ნატოს ბოსტანში

## დაე ჰყვაოდეს მეგობრობა და სოლიდარობა

### ყირგიზეთის სსრ მთავრობის განცხადება

**ფრუნზე,** 15 მაისი. (საქდესი). დღეს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებულია ყირგიზეთის სსრ მთავრობის განცხადება იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ წინააღუდგნენ სსრ კავშირის მონაწილეობას აფრიკა-აზიის ქვეყნების მეორე კონფერენციაში.

თავიანთი თავდასხმებით სსრ კავშირზე—გამარჯვებული სოციალიზმის პირველ ქვეყანაზე, ქვეყანაზე, რომელიც კომუნიზმს აშენებს, ნათქვამია განცხადებაში, ჩინეთის ხელმძღვანელები უდიდეს ზიანს აყენებენ აზიისა და აფრიკის ხალხების ერთობას მათ ბრძოლაში იმპერიალისტებისა და კოლონიზატორების წინააღმდეგ. ყირგიზეთი საბჭოთა შუა აზიის ერთ-ერთი აყვავებული რესპუბლიკაა. ყირგიზეთის მშრომელები უდიდესი ყურადღებითა და თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს აზიისა და აფრიკის განთავისუფლებული და მებრძოლი ხალხების მეცადინეობას, ცდილობენ განამტკიცონ სოლიდარობა მათთან, განავითარონ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. აზიისა და აფრიკის ხალხთა მრავალი დელეგაცია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოდის, თვალნათლივ დარწმუნდა, რა ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის მშვიდობა და უანგარო მეგობრობა.

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეობა, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური მხარდაჭერა აფრიკა-აზიის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ცნობილია მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. მით უფრო დიდ აღშფოთებას იწვევს ჩინელ გამთიშველთა გამოხდომები, რომლებიც ცდილობენ რაღაც „ჩინური კედელი“ აღმართონ თეთრკანიან, შავკანიან და ყვითელკანიან ხალხებს შორის, გათიშონ ისინი რასობრივი ნიშნის მიხედვით. ნაციონალიზმით და დიდმპყრობელური შოვინიზმით დაბრმავებულ ჩინეთის ხელმძღვანელებს არ სურთ ანგარიშიც კი გაუწიონ ისეთ უდავო ფაქტებს, რომ ყირგიზეთის სსრ მდებარეობს შუა აზიის ტერიტორიაზე და საერთო საზღვრები აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. მარტო ჩინეთის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირი „არააზიური“ სახელმწიფოა.

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა პროტესტს აცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა გამთიშველი გამოხდომების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია სახელმწიფოებისა და ხალხების გათიშვა. ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა მზად არის გაადიდოს თავისი წვლილი მშვიდობისათვის, კოლონიური ბატონობისაგან და უცხოეთის დამოკიდებულების ყველა ფორმისაგან ხალხთა სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იაპონიაში

**ტოკიო,** 15 მაისი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი შეხვდა პრემიერ-მინისტრ ხ. იკედას, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრს მ. ოხირას.

შეხვედრების დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც აღძრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში იაპონიის პრემიერ-მინისტრისადმი, მათ შორის საკითხი საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების, სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის, ამ ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის დამყარების შესახებ და სხვა საკითხები, რომლებიც შეეხება როგორც საერთაშორისო პოლიტიკას, ისე ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობას. საუბრები მიმდინარეობდა გულახდილ და საქმიან ვითარებაში. საუბრებს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ზ. ტ. სერდიუკი, ბ. ე. ბუტომა, სსრ კავშირის ელჩი იაპონიაში ვ. მ. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ნ. გ. სუდარიკოვი.

დღესვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იყო იაპონიის ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკაში პარლამენტის ბიბლიოთეკაში. დელეგაციის წევრები გაეცნენ აგრეთვე „კანონის“ ფირმის კინო — და ფოტოაპარატურის ქარხანას.

შუადღისას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია დაესწრო იაპონიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის სხდომას. მქუხარე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს, როდესაც ისინი პალატაში შემოვიდნენ.

საღამოს სსრ კავშირის ელჩმა იაპონიაში ვ. მ. ვინოგრადოვმა დიდი დარბაზობა გამართა საბჭოთა საელჩოში საბჭოთა პარლამენტარების პატივსაცემად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურმა ა. ი. მიქოიანმა დამსწრეთ მიმართა მისასალმებელი სიტყვით.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

## მხარი დავუჭიროთ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს

**ტოკიო,** 16 მაისი. (საქდესი). იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ და დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ გამოაქვეყნეს ოფიციალური განცხადებანი, რომლებშიც მოუწოდებენ იაპონიის მთავრობასა და პარლამენტს მიიღონ წინადადებანი, რომლებიც წამოყენებულია ნ. ს. ხრუშჩოვის 6 მაისის წერილში იაპონიის პრემიერ-მინისტრ ხ. იკედასადმი.

## დამსჯელები განადგურებული არიან

**ნიუ-იორკი,** 15 მაისი. (საქდესი). დღეს 20 კილომეტრზე საიგონის სამხრეთით სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა ბატალიონმა გაანადგურა დამსჯელთა დიდი რაზმი. მთავრობის ჯარებმა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამარცხება განიცადეს სამხრეთ ვიეტნამის მთელი ომის განმავლობაში — იუწყება საიგონიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

## ხელშეკრულება მოიწონეს

**ტოკიო,** 15 მაისი. (საქდესი). დღეს იაპონიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ.

## საბჭოთა ხალხის დიდი საჩუქარი

**დელი,** 15 მაისი. (საქდესი). გაზეთი „დეკან ჰერალდი“ მიესალმება საბჭოთა კავშირის დახმარებას ბოკაროს ელექტროსადგურის აშენებაში და წერს: „ინდოეთი საბჭოთა კავშირისაგან დახმარებას იღებს დიდმნიშვნელოვან დარგში, ამაზე კი უარი უთხრა დასავლეთმა. ბოკარო, ისევე როგორც ბჰილაი, სიმბოლურად გამოხატავს ინდოეთის დამოუკიდებელ პოლიტიკასა და საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილებას დახმარება გაუწიოს ინდოეთს“.

გაზეთი სათაურში აღნიშნავს, რომ „ინდოეთისადმი საბჭოთა კავშირის დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს“ და წერს, რომ საბჭოთა კავშირი ინდოეთს ეხმარება 32 დიდი საწარმოს, მათ შორის ცნობილი ბჰილაის ქარხნის აშენებაში. საბჭოთა კავშირის დახმარება არა მარტო მთავარ, არამედ გადამწყვეტ როლს ასრულებს მძიმე მრეწველობაში, რომელიც ტექნიკურად განვითარებული ყოველი ქვეყნის საფუძველია.

„ასეთი სახელმწიფო სექტორის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა ინდოეთში, — ხაზს უსვამს „დეკარ ჰერალდი“, — რომ არ დაგვხმარებოდნენ საბჭოთა კავშირი და სხვა კომუნისტური ქვეყნები“.

## კანის კინოფესტივალზე

**კანი,** 15 მაისი. (საქდესი). აქ დამთავრდა კანის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალის მთავარი პრემია — „გრან პრი“ მიიღო ფრანგი რეჟისორის ჟაკ დემის ფილმმა „შერბურის ქოლგები“. ჟიურის სპეციალური პრემია მიეკუთვნა იაპონურ ფილმს „უდაბნოს ქალი“, რომლის ავტორია ახალგაზრდა რეჟისორი ხიროსი ტესი გეხარა.

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრემიები მიენიჭათ იტალიელ კინომსახიობს სარო ურცის (პიეტრო ჯერმის ფილმი „შეცდენილი და მიტოვებული“) და მსახიობ ანტალ რაჟერს (უნგრული ფილმი „ტოროლა“). ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრემიები მიენიჭათ ბარბარა ბერის (ამერიკული ფილმი „კარტოფილი ერთხელ, კარტოფილი მეორედ“) და ანი ბენკროფტს (ინგლისური ფილმი „გოგრის მოყვარული“).

ტრადიციის მიხედვით ფესტივალზე წარმოდგენილ საუკეთესო ფილმს პრემიას ანიჭებს აგრეთვე კინემატოგრაფიული პრესის საერთაშორისო ფედერაცია. ეს პრემია მიენიჭა პოლონელი რეჟისორის ანჯეი მუნკის კინოსურათს „მგზავრი“.

## შიმშილით სიკვდილი

**ოფიციალური** მონაცემებით, 818 ვენესუელელი გარდაიცვალა შიმშილით 1963 წელს. განმარტავენ რა ამ ცნობებს, კარაკასის გაზეთები აღნიშნავენ, რომ შიმშილით სიკვდილის მიზეზია სიძვირის განუწყვეტელი ზრდა და უმუშევრობა.

(საქდესი).




ამერიკული „ცხოვრების წესი“ თუ „სიკვდილის წესი“? ასეთ კითხვას სამართლიანად აყენებს ურუგვაიული ყოველკვირეული „მარჩი“, რომელიც ათავსებს ამ ნახატს, სადაც გამოსახულია რასისტი კუკლუქსკლანელი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

## სერიოზული სნეულებანი და სახიფათო წამლები

### ნატოს საბჭოს სესიის საბოლოო შედეგები

**ჰააგაში** დამთავრდა ნატოს საბჭოს ყოველწლიური საგაზაფხულო სესია. სესიაში მონაწილეობდნენ ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, რომელიც 15 წლის წინათ შეიქმნა და ამაოდ ცდილობდა შეეფერხებინა, შეეცვალა იმპერიალიზმის სასარგებლოდ ისტორიის განვითარების გარდუვალი მსვლელობა.

შედარებით ხანმოკლე, სამი დღის სესიას არავითარი მოულოდნელობა არ მოჰყოლია. სესია დამთავრდა მშვიდობიანად შედგენილი, სტერეოტიპული კომუნიკეთი, რომელშიც მიჩქმალულია უთანხმოება და კინკლავი, ამ სამხედრო ბლოკს რომ ღრღნის. ბლოკის ნამდვილი აგრესიული მიზნები გულმოდგინედ არის შენიღბული „თავდაცვითი“ ფრაზეოლოგიითა და იმის რწმუნებით, რომ ესწრაფვიან დაძაბულობის შენელებას. კომუნიკეს 11 პუნქტიდან ორში ნათქვამია: „მინისტრებმა დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყონ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის ნამდვილი შენელება“ და რომ მათ „კმაყოფილებას გვრის შემაკავებელი ღონისძიებანი, რომლებიც ამ ბოლო დროს განახორციელეს გამალებული შეიარაღების შესამცირებლად“. ამავე დროს, სხვა პუნქტებში, დაჟინებით მოითხოვენ, რომ აუცილებელია გაზარდონ და „სრულყონ“ ნატოს სამხედრო ძლიერება, ხოლო განიარაღების ძირითადი პრობლემების გადაწყვეტის პერსპექტივა განგებ არის მიჩნეული „შორეულ“ პერსპექტივად.

განიარაღებისა და დაძაბულობის შემდგომი შენელების პერსპექტივების ასეთი, მეტი რომ არა ვთქვათ, პესიმისტური შეფასება, გასაკვირი არ არის ნატოს მესვეურთაგან, რომლებსაც ეშინიათ იმის, რომ ნამდვილად შენელდეს დაძაბულობა და ცოტა ძალღონეს როდი ხმარობენ, რომ შეაფერხონ, და არა მარტო შეაფერხონ, არამედ საერთოდ შეაჩერონ დაძაბულობის შენელება.

ნატოს საბჭოს ჰააგის სესიის წინ თვალსაჩინო ვაშინგტონელმა და ბონელმა მოღვაწეებმა ამის შესახებ სავსებით გულახდილად გამოთქვეს თავიანთი აზრი. „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება, — თქვა 7 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯორჯ ბოლმა ჯორჯ ტაუნის უნივერსიტეტში, — საფრთხეს უქმნის ნატოს, წარმოშობს ახალ სიძნელეებს და ახალ განსაცდელში აგდებს ნატოს. შექმნილია იმის საფრთხე, რომ ნატომ შეიძლება თანდათან ნაწილობრივ დაკარგოს არსებობის უნარი“.

ბონის განცხადება ამავე დროს საშუალებას გვაძლევს გავშიფროთ ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენა: ერთი მხრივ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ახლანდელი ღრმა კრიზისის მიზეზები, მეორე მხრივ — იმ საშუალებათა ხასიათი, რომელთა მეშვეობით ცდილობენ ამ კრიზისის აღმოფხვრას.

არავინ უწევს სერიოზულ ანგარიშს ზღაპრებს, თითქოს ნატოს სამხედრო ბლოკი მოწოდებულია შეასრულოს ერთგვარი „ფარის“ როლი გამოგონილი საფრთხის წინააღმდეგ, „კომუნისტური ქვეყნების მხრივ აგრესიის წინააღმდეგ“. ეს „საფრთხობელა“ ჯერ ისევ ჰკიდია ნატოს ბოსტანში, თუმცა ვერავის აშინებს და სულ უფრო ხშირად იძლევა საბაბს მასხრად აიგდონ და დასცინონ იმათ, ვინც ასეთ წვრილმან ხრიკებს მიმართავს.

თუ ოფიციალური კომუნიკეს მიხედვით ვიმსჯელებთ, სესიის ერთადერთი კონკრეტული შედეგია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საბჭოს შემდეგი სესია დეკემბერში მოეწყოს პარიზში და ის, რომ ნატოს ახალ გენერალურ მდივნად აირჩიეს მანლიო ბროზიო, 66 წლის გამოცდილი იტალიელი დიპლომატი, რომელიც ელჩად მუშაობდა საბჭოთა კავშირში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში.

ამავე დროს სესიამ ფარულად განიხილა ბევრი დიდმნიშვნელოვანი და მწვავე საკითხი, ისეთი, როგორიც არის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობა; „მრავალმხრივი ატომური ძალები“, კუბასთან ურთიერთობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაჟინებით ცდილობენ თავს მოახვიონ თავის პარტნიორებს ამ გმირი კუნძულის ეკონომიური ბოიკოტის პოლიტიკა; ვითარება სამხრეთ ვიეტნამში, კვიპროსში, მალაიზიაში.

ჰააგის სესიამ დაადასტურა, რომ ნატოში არსებობს ახალი საშიში ტენდენციები, რომლებმაც შეუძლებელია სერიოზულად არ შეაშფოთოს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. საქმე ეხება ცდას უმკურნალონ დასნეულებულ ნატოს ისეთი წამლებით, რომელთა გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს სახიფათო შედეგები. ამერიკელ მკურნალებს, რომლებიც ცდილობენ ახალი სიცოცხლე შთაბერონ „მომაკვდავ კავშირს“, სურთ თავიანთი ბონელი ასისტენტების მხარდაჭერით „გააფართოონ ამ აგრესიული ბლოკის ჰორიზონტები, გაავრცელონ მისი ჟანდარმული ფუნქციები ბევრად უფრო შორს ევროპის ფარგლებს იქით, დააკავშირონ თავისი პარტნიორები საერთო პასუხისმგებლობით, ჩააბან ისინი ცივი და ვინ იცის, იქნებ მხურვალე ომის ახალ ტურშიც.

შეუძლებელია წარმატება მოჰყვეს ცდას — უმკურნალონ დასნეულებულ ნატოს ახალი ავანტურისტული გეგმებისა და კონცეფციების შემუშავებით. ამან შეიძლება მხოლოდ გაართულოს ავადმყოფობა, რომლის მიზეზი ის არის, რომ არ სურთ უარყონ ამ ბლოკის აგრესიული საფუძველი.



## საბჭოთა ფილმს — საპატიო ჯილდო

**ჰელსინკი,** 15 მაისი. (საქდესი). ფინეთის საბავშვო ფილმების კომისიამ, რომელიც ყოველწლიურად საპატიო დიპლომებით აჯილდოებს საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ფილმებს, წელს დიპლომი მიანიჭა საბჭოთა ფილმს „ადამიანი მიჰყვება მზეს“ (რეჟისორი მიხეილ კალიკი). ჟიურის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ფილმის დაჯილდოება — იმ ბევრი სხვა კარგი საბჭოთა საბავშვო კინოფილმის ღირსებათა აღიარებაა, რომლებსაც ფინეთში უჩვენებენ.

## უპირატესობა ლეიბორისტთა მხარეზეა

**ლონდონი,** 15 მაისი. (საქდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა სამი ოლქის კენჭისყრის შედეგები. სულ ოთხ ოლქში მოეწყო პარლამენტის დამატებითი არჩევნები. რატერგლენში (შოტლანდია) ლეიბორისტული პარტიის კანდიდატმა მაკენზიმ გაიმარჯვა ოლქში, რომელსაც დღემდე პარლამენტში კონსერვატორი წარმოადგენდა. ორ სხვა ოლქში ლეიბორისტებმა ბევრად მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე წინა არჩევნებში.

სამ ოლქში პარლამენტის დამატებითი არჩევნების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ ბევრად გააძლიერა თავისი გავლენა.

## ბ. სტაიბა კვლავ ძნელ პირობებშია

**ოსლო,** 15 მაისი. (საქდესი). გაზეთი „აფტენპოსტენი“ დღეს იუწყება, რომ ტრანსპოლარული ექსპედიცია, რომელსაც ნორვეგიელი ბიერნ სტაიბი მეთაურობს, ახალ სიძნელეს წააწყდა სამშობლოში დაბრუნებისას. სრულიად მოულოდნელად ამერიკელებმა უარი თქვეს თვითმფრინავი დაუთმონ მათ ამერიკის პოლარული სადგურიდან არლის-2-დან ნორვეგიაში ექსპედიციის მონაწილეთა გადასაყვანად და მათი აღჭურვილობის გადასატანად.

## კარლოს ოლივარეს სანჩესი: კუბა იარაღს არ დაჰყრის

**კუბის** რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესმა, რომელიც ალმა-ატაში იმყოფება უცხოელ დიპლომატთა ჯგუფთან ერთად, პრესისათვის გადასცა განცხადება იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაიდინეს ახალი პროვოკაციული აქტი — მეკობრე ხომალდმა ცეცხლგამჩენი ყუმბარები დაუშინა შაქრის ქარხანას პილონის ნავსადგურში (ორიენტეს პროვინცია).

„ჩვენ უდიდესი გულისწყრომით, — წერს კუბის ელჩი, — ვგმობთ ამერიკის იმპერიალიზმს, რომელმაც სამარცხვინოდ ხელყო ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე და უშიშროება, ჩვენი ეკონომიკა და მშვიდობიანი ცხოვრება. ჩვენ ფიდელთან ერთად ვიმეორებთ: კუბა იარაღს არ დაჰყრის“.

„იმპერიალიზმის პროვოკაციებისა და აგრესიის წინააღმდეგ, — განაგრძობს კარლოს ოლივარეს სანჩესი, — კუბა გონივრულად და მამაცურად იმოქმედებს. მუდამ დავიცავთ ჩვენი ერის ინტერესებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის უფლებებისა და ინტერესების შესაბამისად, სისტემისა, რომლის ნაწილია კუბა“.

ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ „სსრ კავშირის კუბისადმი სოლიდარობას საფუძვლად უდევს დიდი საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური სულისკვეთება და მისი საუკეთესო გამოხატულებაა ნათელი განცხადებანი და განუხრელი პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ახორციელებენ. კუბამ იცის, კუბელები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენს სამართლიან თავდაცვითს ბრძოლას ყოველთვის თან სდევს დიდი საბჭოთა ქვეყნის აქტიური და ქმედითი სოლიდარობა, ის სოლიდარობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ერთხელ კიდევ გამოაცხადა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. (საქდესი).

## ბუდაპეშტის ბაზრობა

**15-დან** 25 მაისამდე ბუდაპეშტში მოეწყობა საერთაშორისო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს 33 ქვეყანა. ეს ნათქვამი იყო 12 მაისს პრეს-კონფერენციაზე, რომელიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში გაიმართა. ბაზრობის მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი, იუგოსლავია, კუბა, ავსტრია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ბაზრობაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ტანგანიკა, ნიგერია, ეთიოპია, ინდონეზია, საბერძნეთი, ინგლისი და ბელგია.

სსრ კავშირს წელს უკავია 2.100 კვადრატული მეტრი ფართობის ახალი პავილიონი და 1.000 კვადრატული მეტრი ღია ტერიტორია. საბჭოთა მრეწველობის საგარეო ვაჭრობის 33 გაერთიანებამ, 2.000 ექსპონატი წარმოადგინა.

ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადში უნგრეთის საერთო საგარეო ვაჭრობის ბრუნვა თითქმის გაორკეცდა. და 1963 წელს 20,5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სახალხო უნგრეთს სავაჭრო ურთიერთობა აქვს ასზე მეტ ქვეყანასთან. რესპუბლიკა უჩვენებს მანქანათმშენებლობის პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, რომელიც უნგრეთის ექსპორტის დაახლოებით 45 პროცენტს შეადგენს. ბაზრობაზე დადებულ საიმპორტო და საექსპორტო გარიგებათა მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, შარშან მან თითქმის 70 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც დაახლოებით ერთიორად მეტია, ვიდრე 1962 წელს იყო.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში იოჟეფ სიპკამ და საელჩოს დიპლომატიურმა თანამშრომლებმა უპასუხეს ჟურნალისტებს კითხვებზე.

(საქდესი).

## სადაც კაპიტალი ბატონობს

„ნიუსუიკი“, „ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინი“ და ამერიკის შეერთებული შტატების პრესის სხვა ორგანოები იძულებული არიან გამოაქვეყნონ მასალები გაჭირვებაში მყოფ ამერიკელებზე. ჟურნალები და გაზეთები გაჭირვებულთა სხვადასხვა ციფრებს ასახელებენ, მაგრამ სინამდვილესთან უველაზე ახლოა, ციფრი 40 მილიონი კაცი. უმუშევრები, მოხეტიალე მუშები, ჭაბუკები, რომლებსაც განათლება ვერ მიუღიათ, დაბალ კვალიფიციურნი, საწარმოებში ადგილი რომ ვერ უპოვნიათ, გაღატაკებული ფერმერები, ზანგები, რომლებსაც სამუშაო ვერ უშოვნიათ კანის ფერის გამო — ბევრი ადამიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჭეშმარიტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

**სურათებზე:** მარცხნივ — უმუშევართა რიგი ნიუ-იორკში. შუაში — „ერის ერთი მეხუთედი. მოხეტიალე მუშის ოჯახი“. მარჯვნივ — მოხეტიალე მუშები — ლობიოს მკრეფავები არკანზასის შტატში (სურათები გამოქვეყნებულია „ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინში“).






# ზრდილობის ანბანიდან ზნეობის კანონებამდე

[illegible]

[illegible] მაშასადამე, საშუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის გარდა უნდა ისწავლებოდეს ბუნებათმეცნიერების საფუძვლები, საზოგადოებათმცოდნეობის ელემენტური კურსი და აზროვნების ან, საერთოდ, ცნობიერების შესახებ მოძღვრების ანბანი.

ბუნებათმეცნიერების საფუძვლებს ახალგაზრდა შეისწავლის მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა დარგების შესწავლით; „საზოგადოებათმცოდნეობის" როგორც სპეციალური დისციპლინის შესწავლას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისტორიის, გეოგრაფიისა და ლიტერატურის სწავლება. ხოლო რაც შეეხება აზროვნებისა, და, საერთოდ, ადამიანის ცნობიერების შესწავლას, საჭირო იქნება, ჯერ ერთი, **აღდგენილ იქნას ჩვენს სკოლებში ლოგიკისა და ფსიქოლოგიის სწავლება და, გარდა ამისა, შემოღებულ იქნას ეთიკისა და ესთეტიკის მეცნიერებათა ელემენტური კურსების სწავლება.**

ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რაოდენ აუცილებელია ამ დისციპლინების სწავლება ჩვენს სკოლებში. ადამიანის ცნობიერება ეს არის აზროვნების, გრძნობადობისა და ნებელობის უნარი. ამ უნართა ფუნქციობის მექანიზმს სწავლობს ფსიქოლოგია, ხოლო ამ უნართა ფუნქციობის შინაარსს, მის შედეგებს შეადგენს გონება, გემოვნება და ზნეობა, რასაც შესაბამისად შეისწავლიან ლოგიკა, ესთეტიკა და ეთიკა.

ადამიანის სპეციფიკა მის ცნობიერებაშია და არა სხეულში. თუ ყურადღება ექცევა ადამიანის სხეულის შესწავლას, უფრო მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს მისი სულის, ანუ ცნობიერების შესწავლას.

თუ საშუალო სკოლაში ახალგაზრდის სწავლების მთელი შინაარსი და ძირითადი მიზანი მასში მეცნიერული მსოფლმხედველობის ნიადაგის მომზადებაა, — ყოვლად გაუმართლებელია არ ისწავლებოდეს მეცნიერული მსოფლმხედველობის ისეთი იარაღი, როგორიცაა ლოგიკა. სამყაროს დიალექტიკური კანონზომიერების გაგება შეიძლება მხოლოდ ლოგიკის საფუძველზე. ამჟამად ლოგიკის მეცნიერების განვითარება ისეთ დონეზეა ასული, რომ იგი თვითონ დაიტოტა მრავალ სპეციალურ დარგად — დიალექტიკური ლოგიკით დაწყებული და დამთავრებული მათემატიკური ლოგიკით. ლოგიკა ფილოსოფიური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა და არ შეიძლება ლაპარაკი მეცნიერებისა და, საერთოდ, ცივილიზაციის პროგრესზე ამ მემკვიდრეობის აუთვისებლად.

ამ საგნების სწავლებაზე ხელის აღება შეცდომად უნდა ჩაითვალოს და მიღე-

[illegible] მითითება იმის შესახებ, რომ „თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე უნდა წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას".

არაერთხელ თქმულა, რომ ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა შრომითი აღზრდა. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა სკოლასა და წარმოებას შორის კავშირის დამყარებისა და შრომით საქმიანობაში მოსწავლეების ჩაბმის მხრივ, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ჩამორჩენაა. კერძოდ, ბევრ შემთხვევაში ფორმალური მხარე ჩრდილავს შინაარსობრივს — ბავშვები დროს აცდენენ და შრომას კი ვერ სწავლობენ. ცუდად დაყენებული შრომითი აღზრდა გაკეთილშობილების ნაცვლად აფუჭებს მოზარდის ზნეობრივ სახეს. ისინი ეჩვევიან უპასუხისმგებლობას, თვალთმაქცობას, სიცრუეს, შრომისადმი უპატივცემლობას და დროის უაზროდ ხარჯვას. სკოლის ცხოვრებაში ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს შრომითი აღზრდის საკითხი. მხოლოდ მაშინ ჩაეყრება მკვიდრი საფუძველი ახალი თაობის ზნეობრივი აღზრდის საქმეს.

**ზნეობრივი** აღზრდის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მოსწავლეთა ეთიკური განათლება. ჩვენს სკოლებში ეს უბანი თითქმის სრულიად იგნორირებულია. ასევე იყო ათეული წლების მანძილზე ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებშიც. მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიექცა ამას ყურადღება და ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება ეთიკისა და ესთეტიკის კურსები.

ცხოვრება მოითხოვს კიდევ უფრო წინ წასვლას ამ მხრივ. ჩვენ ეთიკასა და ესთეტიკას ვასწავლით სტუდენტებს მაშინ, როცა უკვე არსებითად დამთავრებულია მათი ზნეობრივი ხასიათისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება. თვით ამ ჩამოყალიბების პროცესში კი შეგნებული, გეგმაზომიერი ჩარევა არ ხდება. ოჯახის, გარემომცველი წრისა და სკოლის პედაგოგიური პერსონალის ეთიკური და ესთეტიკური დონე ბევრ შემთხვევაში სტიქიურად განსაზღვრავს ახალგაზრდობის ზნეობრივ და ესთეტიკურ სახეს. საჭიროა სტიქიურობა აქაც შეიცვალოს მიზანდასახულობით და შეგნებულობით. ამის ერთ-ერთი საშუალება იქნება **ეთიკისა და ესთეტიკის ელემენტური კურსების სწავლების შემოღება საშუალო სკოლებში. ამას წინ უნდა უძღოდეს ზრდილობის ანბანის სწავლება დაწყებით კლასებში.**

თუ მოსწავლეთა ათეისტური აღზრდა მნიშვნელოვნად ხორციელდება ბუნებათმეცნიერებისა და ისტორიის სწავლებით და ამიტომ საჭირო არ არის სკოლებში სპეციალურ საგნად ათეიზმის შემოღება, იგივე არ ითქმის ეთიკურ აღზრდაზე. ეს საქმე გარკვეულ პოზიტიურ შინაარსს შეიცავს და თუ იგი სპეციალურად არ ვასწავლეთ, სხვა დარგები ვერ შეასრულებენ ამ მეცნიერების სწავლების ფუნქციებს. თუ საჭირო და აუცილებელია ჩვენს სკოლებში ათეისტური მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება, კიდევ უფრო საჭირო და აუცილებელია ეთიკური და ესთეტიკური აღზრდის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

არის თუ არა შესაძლებლობა შემოღებულ იქნას ამ საგნების სწავლება და აღდგენილ იქნას ლოგიკისა და ფსიქოლოგიის სწავლება ჩვენს სკოლებში?

რა თქმა უნდა, არის.

ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ, უფრო მეტი — ევალებათ ასწავლონ ფილოსოფიური დისციპლინები სკოლებში. სათანადო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების არსებობის პირობებში მათ წარმატებით შეუძლიათ გაართვან თავი ამ საპასუხისმგებლო სამუშაოს. მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა დაარსებიდან დღემდე გამოუშვა 1000-მდე სპეციალისტი, რომელთაგან მხოლოდ 20 პროცენტი თუ მუშაობს სასწავლო ან სამეცნიერო საკვლევ ფილოსოფიურ დაწესებულებებში. დანარჩენი ამხანაგები ან არ ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას, ან ასწავლიან არა მათი სპეციალობის საგნებს. საჭირო იქნება ამ კადრების გადამზადება საკვალიფიკაციო კურსებზე და მათი გამოყენება სკოლებში ფსიქოლოგიის, ლოგიკის, საზოგადოებათმცოდნეობის, ეთიკისა და ესთეტიკის მასწავლებლებად.

მომავალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო ფართოვდება ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფილი და კონტინგენტი. ფაკულტეტი მიიღებს სულ 40 კაცს 5 სპეციალობაზე; ფსიქოლოგიის; დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის; ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის; ეთიკის, ესთეტიკისა და მეცნიერული ათეიზმის და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების სპეციალობებზე. უნდა გაიზარდოს ასპირანტთა რიცხვიც ყოველწლიურად თითო დარგში თითო ერთეულით მაინც. ყოველივე ეს შექმნის მკვიდრ ნიადაგს ფილოსოფიური დარგების სწავლებისათვის ჩვენს სკოლებსა და სასწავლებლებში.

იმ ორგანოებმა, რომელთაც პარტია და მთავრობა ანდობს ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს, უნდა მოიფიქრონ და დროზე განახორციელონ ღონისძიებები სწავლების შინაარსისა და სტრუქტურის რაციონალიზაციის მიზნით, რომ ჩვენი სკოლა იდგეს თანამედროვე ტექნიკის, მეცნიერებისა და სოციალური პროგრესის შესატყვის დონეზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ სკოლებში და სასკოლო ასაკში წყდება უდიდესი ნაწილი იმ ისტორიული ამოცანისა, რასაც ეწოდება ახალი ადამიანის აღზრდა.

**გ. ბანძელაძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის, ესთეტიკის და მეცნიერული ათეიზმის კათედრის გამგე.

## მოსწავლეთა ინიციატივით

**ნაყოფიერად** მუშაობს თელავის მეოთხე საშუალო სკოლის ნორჩ ქიმიკოსთა წრე, რომელსაც მასწავლებელი ნ. საყვარელიძე ხელმძღვანელობს. წრემ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში" „ქიმიის დღე" ჩაატარა.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — დიდი ქიმიის პროგრამა". ამ თემაზე კოლმეურნეებს ესაუბრა მერვეკლასელი ფრიადოსანი ს. ქოჩლაძე. მოსწავლეებმა მ. რეხვიაშვილმა და თ. თვალიაშვილმა მოხსენებები წაიკითხეს თემებზე „ქიმია ყოფა-ცხოვრებაში" და „ქიმია და ცრუმორწმუნეობა".

მოსწავლეებმა კოლმეურნეებს უჩვენეს საინტერესო ცდები ქიმიაში.

**მ. ზაალიშვილი.**

## სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესია

ცხინვალი. (საქ. კორ.). შედგა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს მორიგი სესია. სესიამ საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განათავისუფლა ამხ. ვ. ი. გაზაევი.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ამხ. გ. ნ. ჯუსოევი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ა. როდიონოვი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე.

# ცრემლი და სიხარული

## ამბავი ერთი მამაშვილობისა

რედაქციაში მომცრო ტანის მოხუცი კაცი შემოვიდა. თან ქალი მოჰყვა. ისინი პოლონურად საუბრობდნენ. მოხუცის თვალებში სიხარულის ნაპერწკლები კიაფობდა.

— ეს ჩემი შვილი გახლავთ, გვითხრა მან ქართულად და ქალი გაგვაცნო, — ჩემი ნინო. ერთი კვირაა, რაც პირველად მესტუმრა პოლონეთიდან. პირველად გაიცნო თავისი ნათესავები. აგერ ოთხმოცი წლისა ვარ, და როგორც იქნა ვიპოვნე 49 წლის წინათ დაკარგული შვილი. ეს სიხარული მინდა ყველას გავუზიარო.

ჩვენ ვთხოვეთ მოხუცს, ალექსი ვაშაკიძეს, ეამბნა თავისი ცხოვრება, რა პირობებში დაკარგა შვილი და როგორ იპოვნა იგი.

* * *

ათი წლისა იქნებოდა ალექსი, როცა სოფლიდან თბილისში ჩამოიყვანეს ბიძასთან ხარაზობის შესასწავლად. დილიდან დაღამე-



ბამდე ჩასცქეროდა ალექსი ჯღანებს, და ასე უხალისოდ ილეოდა მისი ახალგაზრდობის წლები.

როცა 1905 წლის რევოლუციის ტალღამ საქართველოს გადაუარა, ბევრი დაჩაგრული გამოფხიზლდა, ბევრს გაუღვივდა იმედის ნაპერწკალი, იქნება ადამიანური ცხოვრება გვეღირსოსო. ამ დაჩაგრულთა რიცხვში ალექსიც იყო.

ერთხელ მისმა ამხანაგმა პეტრემ საიდანღაც ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ გამოშვებული პროკლამაცია მოუტანა ალექსის და წაუკითხა. თითქოს მათ გულში ნადები ამოუცვნიათო ამ დალოცვილი ფურცლის ავტორებს, ისე კარგად წერდნენ დაბეჩავებული ხალხის ყოფაზე.

ამ დღიდან მოყოლებული, ალექსი და მისი ამხანაგები ხშირად კითხულობდნენ ასეთ ფურცლებს და თვითონაც დაიწყეს მათი გავრცელება.

დიდი ამბები ხდებოდა მაშინ თბილისში. ბოლშევიკური იდეები თანდათანობით ფეხს იკიდებდა მშრომელთა გულში. ჭაბუკი ალექსი ვაშაკიძე მიჰყვა ამ მოძრაობის ტალღას.

სწორედ იმ ხანად ალექსი ჯარში გაიწვიეს და სიღნაღში ჩავიდა. აქ მისი თანასოფლელებიც იყვნენ გამოძახებულნი. ალექსი უკვე საკმაოდ განსწავლილი იყო, იცოდა ბოლშევიკური პარტიის მოწოდება უარი ეთქვათ მეფის ჯარში სამსახურზე, და ამიტომ თავის თანასოფლელებს ურჩია არ მიეღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინიც ასე მოიქცნენ და დაიშალნენ. ექვსი თვე ეძებდა მამასახლისი ურჩებს და ბოლოს მიაგნო მათს კვალს. ყველანი დაიჭირეს და თელავში წაიყვანეს. აქ კახეთის სხვა კუთხეებიდანაც შეეკრიბათ 200-მდე მათსავით ურჩი გლეხი. მეფის მოხელეებმა დასჯის მიზნით ისინი შორეულ პოლონეთში გადაასახლეს. იქ პლოცკში მეფის რუსეთის დამსჯელი პოლკი იმყოფებოდა. ქართველები 5 წელს იყვნენ თავიანთ სამშობლოს მოწყვეტილნი. საქართველოდან ცუდი ამბები ისმოდა. იქ შავი რეაქცია მძვინვარებდა. სასჯელის მოხდის შემდეგ ბევრი უკან დაბრუნდა. ალექსი კი პოლონეთში დარჩა და ვარშავის მახლობლად პაბიანიცეში დაიწყო მუშაობა. იფიქრა, ცოტა ხანს გავეცნობი აქაურობას და მერე დავბრუნდები სამშობლოში. პაბიანიცეში ალექსიმ პოლონელი ქალი ანა შიგანუკი გაიცნო და ცოლად შეირთო. მალე ეყოლათ გოგონა, რომელსაც ნინო დაარქვეს, შემდეგ ვაჟი შეეძინათ — გიორგი. მესამე შვილზე ფეხმძიმედ იყო ანა, როცა გერმანელებმა ომი გამოუცხადეს რუსეთს. ეს იყო 1914 წელს.

ალექსი, როგორც მეფის რუსეთის ჯარში ნამსახური ომში გაიწვიეს. ძნელი იყო ანასათვის პატარების მარტოდ აღზრდა. ალექსიმ ისინი თავის სამშობლოში გამოისტუმრა დედ-მამასთან, თვითონ კი დაუბარა, ომში თუ გადავრჩი, აუცილებლად საქართველოში დავბრუნდები და იქ ვიცხოვრებთო.

გადიოდა დრო, ალექსისა არაფერი ისმოდა. იგი პირველსავე შეტაკებაში, რუსეთის სხვა არმიელებთან ერთად, ტყვედ ჩავარდნილიყო და გერმანიის ხან ერთ ქალაქში იმყოფებოდა, ხან მეორეში. ვერ იქნა და ვერ მიაწვდინა ხმა ცოლ-შვილს.

გაუჭირდა ანას უცხო ქვეყანაში ყოფნა. აქ მას ბიჭი შეეძინა — თეიმურაზი. ქალმა არ იცოდა ქართული ენა, უჭირდათ ალექსის მშობლებსაც, ქმრისგანაც არაფერი ისმოდა. ანამ გადაწყვიტა ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1917 წლის ბოლოს ა. ვაშაკიძე თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ცოლ-შვილი აქ აღარ დახვდა. დაღონდა კაცი. დახმარებისათვის მაშინდელ მენშევიკურ მთავრობას მიმართა და სთხოვა მიეცათ უფლება წასულიყო პოლონეთში თავისი ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად, მაგრამ უარი მიიღო.

საკმაო ხანი გავიდა. ალექსიმ რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა მეორედ. შეირთო ცოლი, ეყოლა ორი ვაჟი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღარ უჭირდა ალექსის, აღარ გრძნობდა თავს დაჩაგრულად. თვითონ უსწავლელი იყო, მაგრამ ორივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა. ისინი ახლა დაოჯახებულნი არიან. ალექსი უკვე რამდენიმე წელია პენსიაზეა, შვილებსა და შვილიშვილებში ხარობს, მაგრამ მის გულში არასოდეს არ წაშლილა თავისი დაკარგული შვილების სიყვარული. ბევრჯერ სცადა რაიმე კვალი ეპოვნა მათი, მაგრამ ამაოდ.

ამ უკანასკნელ ხანს, როცა ჩვენმა მთავრობამ გააფართოვა უცხოეთთან კავშირი, ბევრმა გაიგო თავისი დაკარგული დედის თუ მამის ამბავი, თავისი ახლობლების ბედი, და აი უკვე ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცის გულშიც იმედის ნაპერწკალმა იფეთქა, იქნებ მანაც ნახოს თავისი 49 წლის წინათ დაკარგული შვილები.

ალექსიმ დახმარებისათვის მიმართა საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს. მათ მოსკოვში არსებული ადგილგადანაცვლებულ მოქალაქეთა საძიებო ბიუროს მეშვეობით მიაკვლიეს ვარშავის მახლობლად პაბიანიცეში მცხოვრებ ნინო ვაშაკიძეს და ამის შესახებ აცნობეს ალექსის.

80 წლის მამა პოლონეთში გაემგზავრა შვილის სანახავად. პოლონელები გულთბილად შეხვდნენ შორეული საქართველოდან ჩამოსულ მოხუცს. როგორც ყოფილი რკინიგზელი ალექსი თავის პოლონელ თანამოსაქმეებთან მივიდა და ქალიშვილის მოძებნაში სთხოვა დახმარება. ვარშავის სადგურის უფროსი დაუკავშირდა პაბიანიცეში ნინო ვაშაკიძეს და სულ რამდენიმე საათში 49 წლის უნახავი მამა-შვილი ერთმანეთს ეხვეოდნენ. ამაღელვებელი იყო მათი შეხვედრა. ოთხი წლის გოგონას ნაცვლად ახლა მამის წინ საშუალო ტანის უკვე თმაშევერცხლილი ქალი იდგა. იქ მყოფნი აცრემლებული შესცქეროდნენ მოხუცსა და ქალს.

ნინომ შინ წაიყვანა მოხუცი. გააცნო თავისი ერთადერთი გოგონა 16 წლის იადვიგა. მამას აინტერესებდა თავისი პატარა ბიჭების ბედი, ნინოს ცხოვრება.

— საქართველოდან წამოსვლას დედა ყოველთვის ნანობდა, — ჰყვებოდა ნინო, — დედას ძალიან გაუჭირდა ჩვენი აღზრდა. თითქმის ნახევრად მშივრები ვიყავით. გიორგი და თეიმურაზი პატარებივე დაიხოცნენ. განსაკუთრებით მძიმე პირობებში ჩავვარდით ომის დროს, გერმანელი ფაშისტების ბატონობის წლებში. მახსოვს, დედა ფეხშიშველა დადიოდა ტყეში, კრეფდა სოკოებს და ეს იყო ჩვენი ერთადერთი საკვები. რამდენჯერ ჩავვარდნილვართ აშკარა საფრთხეში. გერმანელები დაგვცინოდნენ, აბუჩად გვიგდებდნენ მათხოვრულ მდგომარეობაში მყოფთ. ყველაფერი გავყიდეთ, თუ რამ გვებადა, თითქმის ყველაფერი. დაგვრჩა ერთი პატარა კარადა და ხელის საკერავი მანქანა. დედას არაფრით არ უნდოდა, რომ ეს ნივთები ფულად გვექცია. მეუბნებოდა, ეს მამაშენის ნაყიდია და მინდა სახსოვრად დაგრჩესო.

თითქმის სიკვდილის პირას ვიყავით მისულნი, როცა საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ჩვენი ქვეყანა გერმანელი ფაშისტებისაგან. მას შემდეგ თანდათანობით აღდგა ჩვენი ცხოვრება. მეც გავთხოვდი რუდოლფ ხანსზე. ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები. გამოცოცხლდა ხალხი, მაგრამ დედაჩემმა ვეღარ აიტანა წარსულში გადატანილი იმდენი ტანჯვა და ლოგინად ჩავარდა. ექვსი წელი ავადმყოფა საწყალმა და გარდაიცვალა. სულ მალე ქმარიც გარდამეცვალა. დავრჩით მე და ჩემი გოგონა მარტოკები. ახლა აღარ მიჭირს ცხოვრება. ვმუშაობ ვუკენიჩის ფაბრიკაში წუნმდებლად. როგორც ხედავ, ყველაფერი მაქვს.

ჩემი ოცნება იყო შენი ამბავი გამეგო, მამაჩემო, გამეგო, ცოცხალი იყავი თუ არა. ეჰ, როგორ მინდა საქართველოს ნახვა. ნეტავ მაშინ ცოტა დიდი ვყოფილიყავი, რომ კარგად დამხსომებოდა თბილისი.

ორ კვირას დარჩა ალექსი ვაშაკიძე თავის ქალთან. ნინომ მოატარა მამა თავის ძველ საცხოვრებელ უბანში, უჩვენა თავისი ფაბრიკაც, ყველას გააცნო შორეული საქართველოდან ჩამოსული მოხუცი.

ძნელი იყო მამა-შვილის დაშორება, მაგრამ ალექსის იმედი ჰქონდა, რომ ქალიშვილი საქართველოში ჩამოვიდოდა და გაიცნობდა ძმებს, ნათესავებს.

გავიდა ერთი წელი, და ახლა ნინო ეწვია მამას. გულთბილად შეხვდნენ ალექსის ვაჟები გიორგი და ილია თავიანთ შორეულ დას. აჩვენეს თბილისი, ჰყავდათ მუზეუმებში. მამამ კახეთშიც წაიყვანა ნინო თავის ბიძაშვილებთან. ყველგან სიყვარულით ხვდებოდნენ მას.

უსაზღვროდ აღფრთოვანებული ქალი ცრემლებს ვერ იკავებდა, ყველას ეხვეოდა, ჰკოცნიდა, რომ ეს სითბო, ეს სიყვარული თავისი გოგონასათვისაც წაეღო იქ, მშობლიურ პაბიანიცეში.

**ლარისა ხუბულური.**

* * *

**სურათზე:** ნინო და ალექსი ვაშაკიძეები.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# რატომ ტირის ზაზა?

## სად ითამაშონ ჩვენმა ბავშვებმა?

**ზაზა** ბურთზე იჯდა და ტიროდა...

— არსად არ წახვალ! — უჯავრდებოდა ზაზას დედა. — შენ ხომ დიდი ბიჭი ხარ, გენაცვალოს დედა... აილე ბურთი და აქ, ოთახში გააგორე ფრთხილად, ან აი აქ, დერეფანში ითამაშე კონსტრუქტორით...

— გამიშვი, რა... — კვლავ წამოიწყო ზაზამ.

— პირდაპირ არ ვიცი, რა ვუყო ამ ბავშვს.. დღეს სამშაბათია, ცოტა მოიცადე, კვირას მამა კიროვის ბაღში წაგიყვანს და ითამაშე რამდენიც გინდა...

— გამიშვი, რა...

— ზაზა!.. — ხმას აუწია დედამ. რაც იმას ნიშნავდა, რომ ზაზა დღეს ფეხსაც ვერ მოიცვლიდა.

— ეზოში ვერ გაგიშვებ, სად გაგიშვა, სად? ათასნაირი მანქანები დადიან ეზოში, კაცმა არ იცის — ვინ შინაურია და ვინ გარეული... რა ქუჩაში გამიშვიხარ და რა ეზოში!.. დაგავიწყდა, გუშინწინ მანანა კინაღამ რომ მოჰყვა ძია შაქროს მანქანის ქვეშ?

— ის ძია... სერგოს მანქანა იყო...— ტირილით შეუსწორა ზაზამ შეცდომა დედას.

— ძია შაქროსი იყო თუ ძია სერგოსი, ხომ იყო... — ჯავრობს დედა.

ბიჭი კი.. ბიჭი? ზის ბურთზე და იცრემლება.

შეიძლება ერთი შეხედვით იფიქროს კაცმა, ამ ჩვეულებრივ „დედაშვილურ სცენას" დიდი და პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდესო, მაგრამ თუ კარგად ჩაუფიქრდება ადამიანი ამ უბრალო ცხოვრებისეულ დეტალს, მიხვდება, რომ ეს საკითხი გულისხმიერებას მოითხოვს და მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ რომ გეთქვათ, მალე დადგება დრო, რომ საბურთალოზე ბავშვების სათამაშო ადგილს დაუწყებენ ძებნასო, არ დაგიჯერებდნენ.

ახლა კი საბურთალო ქალაქია, დიდი ახალი ქალაქი, ამწეები ვეებერთელა რკინის წეროებივით ინაცვლებენ ადგილს, შენდება, მშვენდება ახალი უბანი.

მშენებლობის ასეთი ტემპი ჯერ არ უნახავს თბილისს. შენდება საბურთალო, დიღმის მასივი, 26 კომისრის რაიონი. მაგრამ აბა ნახეთ, თუ იშვიათი გამონაკლისი არ იყოს ისეთი სახლი, რომელიც ჩაბარდა და მას ეზო კეთილმოწყობილი ჰქონდეს, იყოს „საბავშვო მოედანი" ან „ბავშვთა კუთხე", ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, კერძოდ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტი. ვეებერთელა ახალი 8-სართულიანი სახლები, მშვენიერი ბინები, კოხტა აივნები და... პარტახი ეზოები.

აქაურობას არც მშენებლის ხელი ეტყობა, არც მობინადრისა. ამ სახლებში ასობით ბავშვი იქნება. რა ქნან ბავშვებმა?

კარგი, დავუშვათ მშენებლებს არ სცალიათ პატარებისათვის, სახლმმართველობა კი ვალდებული არ არის იზრუნოს ბავშვებზე, სად არიან თვითონ მცხოვრებნი?

საბურთალოზე 26-ე საბავშვო ბაღს, პეკინის ქუჩიდან ეკვრის ეზო, სადაც, შეხვალ თუ არა, თვალში გეცემა გარაჟები, რომლებსაც ვეებერთელა ბოქლომები ადევს. იქვე კი, სულ რამდენიმე სახლის დაშორებით 73 ნომერში რომ მიბრძანდეთ, არ შეიძლება არ მოიხიბლოთ. აქ ნახავთ, როგორი უნდა იყოს კეთილმოწყობილი ეზო, როგორ უნდა ზრუნვა პატარებზე. „ბავშვთა მოედანი", სპორტული მოედანი, მშვენიერი გაზონები. რამდენიმე წელია ბავშვები უვლიან ყვავილებს. აქ ყველაფერია ბავშვებისათვის. ისინი კიდეც თამაშობენ და კიდეც შრომობენ, მშობლებსაც გული საგულეს აქვთ და ბავშვებსაც არ ენატრებათ ლაღად ყოფნა.

სამწუხაროა, რომ მეტ წილ შემთხვევებში ახალმობინადრენი ეზოს კეთილმოწყობასა და პატარებზე კი არ იწყებენ ზრუნვას, არამედ პირველ რიგში გარაჟის აშენებაზე ფიქრობენ (მათ შორის ზოგი უმანქანოც კი). ზოგან ისე უადგილო-ადგილას არის გამოჩხირული ეს გარაჟი, რომ არც ბავშვის სათამაშო ადგილი რჩება და არც დიდის გასავლელი. ამიტომ არის, რომ ამ საკითხზე საჩივრებმა იმატა. სასამართლოში გაჩნდა ახალი კატეგორია საქმეებისა — „გარაჟების საქმე".

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ რ. ქოლოშვილმა სამართლიანი გულისწყრომით თქვა:

— აი ვეკითხები კაცს, ამ ხელისგულის ოდენა ეზოში გარაჟს რომ დგამთ, რას ფიქრობთ, სად ითამაშონ ბავშვებმა?! იგი არც კი დაფიქრდება, გიპასუხებთ— მაშ სად დავაყენო მანქანა?

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ გარაჟების აშენების უფლების გაცემას მეტი ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ რაისაბჭოების აღმასკომები.

ყველამ იცის, რომ ახლა ქალაქში თითქმის ყველგან აიღეს დიდი ღობეები, ამით კიდევ უფრო დამშვენდა ჩვენი ქალაქი, ზოგიერთ ეზოში კი ნახავთ, რომ ყველას თავისთვის შემოუღობავს თითო მტკაველი მიწის ნაკვეთი და სასაცილო „საკუთარ მეურნეობას" ეწევა. ყველა თავის ღობეს და შიგ დარგულ ნიახურს სდარაჯობს, ბავშვებს კი გასანძრევი ადგილი არ რჩებათ. ამის შესახებ რედაქცია ხშირად იღებს წერილებს. აი ერთი მათგანი:

„ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე 23-24-25 კორპუსების წინ არის თავისუფალი მოედანი. აქ თავს იყრიდა უბანში მცხოვრები ასობით ბავშვი, დედებს გამოჰყავდათ თავიანთი შვილები, მაგრამ მოედანი ზოგიერთმა დაისაკუთრა, მწვანე ნარგავები მოჭრეს, მიწა შემოღობეს და საბოსტნედ აქციეს. ბავშვებსაც მოუსპეს სათამაშო ადგილი და ნარგავებიც გაანადგურეს".

განა ეს წერილი კომენტარს მოითხოვს?!

ჩვენ ვნახეთ დასახელებული კორპუსების სახლმმართველი ამხ. ვ. ზარიძე. მან დაადასტურა წერილში მოყვანილი ფაქტი და დასძინა, რომ: სამწუხაროდ, ბევრმა ახალმოსახლემ არ იცის თუ რას ნიშნავს ნორმალური თანაცხოვრების წესი, ეგ კიდევ ცოტაა, მაგალითად მე-18 კორპუსში ცხოვრობს 43 ოჯახი, მათი ეზო 2.000 კვ. მეტრია და იმის ნაცვლად, რომ გონივრულად იქნას გამოყენებული ეს ფართობი, ზოგიერთებმა აქ კერძო „ბაღჩა-ბაღების" გამართვა მოინდომეს. ნ. ზაზიშვილმა (რომელიც სხვათა შორის ბინის ქირის საკმაოდ ურჩი გადამხდელია) შემოიღობა 300 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი და მეურნეობის გამართვა ინება.

კარგია რომ დ. მეძველიას უყვარს და რგავს ყვავილებს, მაგრამ ყვავილებში შიგადაშიგ ნიორი და ბოსტნეულის შეპარება აბა რა საკადრისია.

ვ. ჩიხლაძემ თავისთვის ცალკე შეიღობა ადგილი, ა. ჩომახიძემ ცალკე. ასე ნაჭერ-ნაჭერ გაიფლანგა თითქმის 1000 კვადრატული მეტრი მიწა.

23 კორპუსში მე-4 სართულზე მცხოვრებმა ი. მდივანოვმაც მოინდომა ცალკე ხეივანი. ამბობენ ა. ოჩიარენკოს ხალხის თვალისაგან მოფარებულად სარწყავად ონკანიც კი ჰქონდა ბაღში გაყვანილი.

ასეთი ხალხი ვაზის გაშენებაზე, ყვავილებზე, გამწვანებაზე ისე დაგიწყებენ საუბარს, თითქოს საქვეყნო საქმეზე ტკიოდეთ გული. ეს თუ მართლა ასეა, მაშინ ეს ვეებერთელა ტერიტორია, დაგეგმონ, მოაწყონ საერთო ეზო, ხეივნები, ბავშვებისათვის სათამაშო მოედნები და გასართობი ადგილები. მაგრამ მათ ამის გაგონებაც კი არ უნდათ! ეს, ერთი შეხედვით, „წვრილმესაკუთრული" გამოხდომა ზიანს აყენებს ბავშვებს. ამის უფლება კი არავის არ უნდა მივცეთ!

26-ე კორპუსის წინ კარგა მოზრდილი ბოსტანი ვნახეთ.

საბურთალოზე მეორე კვარტალს აქვს ერთი რაღაც „მოედნის მსგავსი". არის ადგილი, რომ ბავშვებისათვის კუთხე გაიმართოს, ამ საქმეს ენთუზიასტებიც ჰყავს, მაგრამ ბავშვებისთვის მაინც არაფერია გაკეთებული. მცხოვრებლებმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა ნიკოლოზ მოსაშვილმა, სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" თავმჯდომარემ თენგიზ კაჭახიძემ და სხვებმა სამართლიანი გულისწყრომა გამოთქვეს იმის გამო, რომ ტერიტორია არის, მის კეთილმოწყობას კი არაფერი ეშველა!

ამ მხრივ მე-6 კვარტალის მცხოვრებლებს ჩინებულად აქვთ საქმე. აქ კარგად გამოუყენებიათ ადგილი, აქვთ მოედნები მოზრდილთათვის ცალკე, პატარებისათვის ცალკე. აქ მალე თავისი ესტრადაც კი ექნებათ.

ეს ამბავი არა მარტო მასივებს ეხება, მასივებს კიდევ რა უშავთ. საკითხავია ქალაქის მჭიდროდ დასახლებული რაიონების ეზოები. აქ პირდაპირ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყოველგვარ ზედმეტ ნაგებობას, რომ ბავშვებს ადგილი დარჩეთ.

არც დიღმის მასივში და 26 კომისრის რაიონშია სახარბიელოდ საქმე. ზოგან არის კეთილმოწყობილი და კარგი უბნები. მაგრამ მთლიანად ძალიან ცოტაა.

...სამწუხაროა, რომ დღემდე პირველ ნომერ ამოცანად ვერ დავსახეთ ბავშვებისათვის სათამაშო ადგილის მოწყობა.

რა ქნან პატარებმა?

რა ქნას ზაზამ, რომელიც ბურთზე ზის და იცრემლება?

რა ქნას ზაზას დედამ, რომელსაც ეშინია გარაჟებად ქცეულ ეზოში ბავშვის გაშვება?

პატარები არსად არ ჩივიან, იმიტომ რომ ისინი პატარები არიან. მათ ჯერ არ იციან საჩივრების წერა. ისინი მხოლოდ ტირიან. ტირიან, როცა ეზოში არ უშვებენ, იმიტომ რომ იქ მათთვის ადგილი არ არის.

**რ. დვალიშვილი.**

# მკითხველის კალმით

## ტექნიკუმი სოფელში გადავიდა

**ზესტაფონი.** 450 ახალგაზრდა სწავლობს ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ისინი ეუფლებიან მევენახეობას, მეხილეობა-მებოსტნეობას, საბუღალტრო საქმეს.

ტექნიკუმი ათეულ წლობით ქ. ზესტაფონში იყო, მაგრამ ამ დღეებში იგი გადავიდა სოფელ თერჯოლაში, სადაც ადრე რაიონული ორგანიზაციები იყო მოთავსებული. ახლა ტექნიკუმს აქვს შესანიშნავი ბაზა — ფართო და კეთილმოწყობილი სასწავლო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები, საცხოვრებელი ბინები.

ტექნიკუმი უფრო დაუახლოვდა სოფელს, წარმოებას. მის განკარგულებაშია 145 ჰექტარი ფართობი. სანერგე მეურნეობამ ტექნიკუმს გადასცა 20 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი. დაითესა რამდენიმე ჰექტარი სიმინდი. ტექნიკუმს ექნება ხეხილის ბაღი, ვაზისა და ხეხილის სანერგეები. თეორიულ სწავლასთან ერთად ახალგაზრდები კარგ პრაქტიკას გაივლიან.

**ვ. ჟოხონელიძე.**

## საინტერესო გამოფენა

**რუსთავში** ი. ჭავჭავაძის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო დიდი ქიმიისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე ექსპონირებულია იმ პროდუქტების ნიმუშები, რომლებიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს მარკით მზადდება.

აქვეა სპეციალური ლიტერატურა — გ. მამუჩაშვილის, ვ. გრიგორიევის და ი. ქავთარაძის კოლექტიური ნაშრომი „ქიმიური ბოჭკოებისა და მათი ნატურალურთან შენაზავების მექანიკური გადამუშავება", ი. ბერიშვილის „პოლიმერული მასალები და კონსტრუქციები მშენებლობაში" და სხვ.

**გ. ჯახუა.**

## გაჰყავთ ელექტროხაზი

**ზნაურის** საწარმოო სამმართველოს სოფელ თერგვანში დაიწყო ელექტროხაზის გაყვანა „საქენერგოს" სისტემიდან. მალე ილიჩის ნათურები აინთება აგრეთვე სოფლებში ფრანევსა და ბეყმარში.

**ვ. ქელახსაევი.**

## ხაშურს მწვანე სამოსელი

**ხაშურის** სატყეო მეურნეობის მუშაკებმა გაზაფხულზე ნაცვლად 150 ჰექტარისა 265 ჰექტარზე დარგეს ფიჭვი, ნამყენი თუთა „საქართველო", ნუში, ჰერამი, კაკალი...

**ლ. კაკიაშვილი.**

# საინტერესო სიახლენი

## იაფი საპლასტმასე ნედლეული

**რაბდოპისიტი** უწოდეს იაფ საპლასტმასე ნედლეულს, მაღალი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების წნეხფხვნილებს, რომლებიც მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის მაღალმოლეკულურ შენაერთთა ლაბორატორიაში პ. ცისკარიშვილის ხელმძღვანელობით. რაბდოპისიტის წნეხფხვნილები ხასიათდებიან შესანიშნავი დიელექტრული თვისებებით, ტემპერატურული მერყეობისადმი გამძლეობით და სიიაფით.

წნეხფხვნილების მოპოვება ხდება ტყიბულის ლიფთობიოლითური ქვანახშირის ქიმიური გადამუშავების საშუალებით.

ლიფთობიოლითური ქვანახშირი მრეწველობაში გამოყენებას ვერ პოულობს, პირიქით, როცა კოქსვად ქვანახშირში შეერევა, იგი აქვეითებს საკოქსე კონცენტრატის ხარისხს, და ქვანახშირის გამამდიდრებლები ცდილობენ იგი თავიდან მოიშორონ, ფუჭ ქანთან ერთად გადაყარონ. ხანგრძლივი კვლევის შედეგად მაღალმოლეკულურ შენაერთთა ლაბორატორიის გამგემ პ. ცისკარიშვილმა დაამტკიცა, რომ ამ გადასაყრელი ქვანახშირიდან შეიძლება მივიღოთ სახალხო მეურნეობისათვის მეტად ძვირფასი წნეხფხვნილები.

## ხანგამძლე ფეხსაცმელი

**გარეგნულად** ეს ორი წყვილი ფეხსაცმელი არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ მათ შორის არის ერთი და ისიც არსებითი, თუმცა შეუმჩნეველი, განსხვავება. ერთი წყვილი ორჯერ უფრო ხანგამძლეა, ვიდრე მეორე. ეს გამძლეობა ფეხსაცმელს მისცა ცირკონიუმის სულფატურ მარილებში დამუშავებამ. პროფესორმა ა. ლაინერმა, რომელიც ტყავის ნაკეთობათა გამძლეობის ამაღლების პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტების ჯგუფს ხელმძღვანელობს, განაცხადა, რომ ცირკონიუმით ტყავის გამოყვანა 50 პროცენტით ზრდის სალანჩე ტყავის გამძლეობას და სულ ცოტა 30 პროცენტით საზედაპირე ტყავის გამძლეობას.

ცირკონიუმით შეიძლება გამოიყვანოთ სხვადასხვა ფერის, მათ შორის თეთრი საზედაპირე და სალანჩე ტყავიც. ცირკონიუმის მარილებით ტყავეულის დამუშავება გარდა იმისა, რომ დიდად ეკონომიურია, საშუალებას იძლევა გავაფართოოთ ტყავეულის ასორტიმენტი და მკვეთრად ავამაღლოთ ფეხსაცმლის ხანგამძლეობა.

## სასწაულებრივი სითხე

**ვის** არ გაუკვირდება, რომ ადამიანი, ჩვეულებრივი ტანსაცმლით წვიმაში აღმოჩნდეს, ზესხმაში მუშაობა განაგრძოს და არ დასველდეს? ახლა უკვე შეიძლება ასეთი სასწაულებრივი მოვლენის მნახველი ყველა ჩვენგანი გახდეს, რადგან ყველას შეუძლია თავის ტანსაცმელს — პალტოს, ქუდს, კაბას, გიმნასტურას, პერანგს, შარვალს სურვილისამებრ მისცეს ჰიდროფობური, წყალუჟონავობის თვისება.

ამისათვის საჭიროა შევიძინოთ ერთი უფერული სითხის „ამსრ-3"-ის ფლაკონი, ამ სითხეში დავასველოთ ჩვენი ტანსაცმელი, გავაშროთ ჩვეულებრივი წესით, ჩავიცვათ, და მერე წვიმისა ნუღარ შეგეშინდებათ. რამდენჯერმე გარეცხვის შემდეგაც კი მასში წვიმა ვეღარ გაატანს.

ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭომ გადაწყვიტა წელსვე აითვისოს ასეთი სითხის — „ამსრ-3"-ის სერიულად გამოშვება ფართო მოხმარებისათვის. „ამსრ-3" სითხე წარმოადგენს ნატრიუმის ალუმომეტილსილიკონატს, ახალი სახის კაჟორგანულ შენაერთს, რომელიც მასში დასველებულ თითქმის ყველა სახის მასალას წყალუჟონაობის თვისებას აძლევს. მოლდავეთში ეს სითხე გამოიყენეს შენობათა მოსაპირკეთებელი ფილების ჰიდროფობიზაციისათვის, საურიეშის თაბაშირ-ცემენტბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში კი გამოუშვეს იმავე სითხეში დამუშავებული სამშენებლო პანელების პირველი პარტია.

ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ის საკითხი, თუ სახალხო მეურნეობის რა და რა დარგში შეიძლება „ამსრ-3" სითხის გამოყენება, მაგრამ დადასტურებულია, რომ ფართობი, რომელიც დაფარულია ამ სითხით და მექანიკურ გავლენას არ განიცდის, წყალუკარებლობის თვისებას ინარჩუნებს 8-10 წლის განმავლობაში.

ჰიდროფობური, ანუ წყალუკარებლობის ამ სითხის „ამსრ-3"-ის შემქმნელნი არიან ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ე. ლაგედინი, ა. ვაივადი, ო. ცერინი და ლ. მაი.

## ბინების შემკეთებელთათვის

**ვისაც** უცდია თვითონვე შეეკეთოს, გაალამაზოს საკუთარი ბინა, ეცოდინება, თუ რაოდენ დიდი დავიდარაბის გადატანა დასჭირდება ოთახების შეღებვისას. მაგრამ ამ დავიდარაბის შემდეგაც კედლებზე საღებავი გახუნდება, სულ მალე იატაკი ხელახლა შესაღებავი გახდება და, მაშასადამე, ხარჯიც ხელახლა გასაწევი. მათთვის, საკუთარი ძალებით ბინების შემკეთებელთათვის, შექმნეს ტალინის ქიმიური კომბინატის „ფლორას" სპეციალისტებმა სინთეზური ემულსიის საღებავები, რომლებიც გამოირჩევა მკაფიო ფერით და სხვა მაღალი თვისებებით. ეს საღებავები სინესტეს არ იკარებენ, მზის სხივებისა და სხვა ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი არიან, დიდხანს ინარჩუნებენ მკაფიო ფერს.

ქიმიურ კომბინატ „ფლორაში" უკვე დაიწყეს ასეთი საღებავების გამოშვება ფართო მოხმარებისათვის. მიმდინარე წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი ეს ახალი საღებავები უნდა გამოუშვან. საღებავები გამოდის ფართო ასორტიმენტით, ცალკე — საწოლი ოთახის, ცალკე — სასტუმრო ოთახის, ბიბლიოთეკებისა და აივნების შესაღებავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

# ლატარიის ბილეთებით

[illegible]

## გემების ქარავნები

[illegible]

მაისის პირველ ნახევარში ფოთელმა ნავსადგურელებმა ჩქაროსნულად გადაამუშავეს გემები „ზლატოუსტი“, „ურიცკი“, „ნიკიტოვკა“, „ნოვოჩერკასკი“, რომლებმაც ჟდანოვის ნავსადგურიდან ჩამოიტანეს ქვანახშირი და რკინის მადანი. ეს ტვირთი რუსთავისა და სუმგაითის მეტალურგთა მისამართით იყო მოსული.

ვადამდე დაცალეს კუბიდან მოსული შაქრის ნედლეულით დატვირთული გემი „დემნარხილდი“.

სატვირთო გემებთან ერთად ნავსადგურში თითქმის ყოველდღე შემოდიან და ვადიან სამგზავრო თბომავლები „ლვოვი“, „აფხაზეთი“, „საქართველო“ და სხვ. ტურისტთა და ექსკურსანტთა მომსახურებისათვის მწყობრში ჩადგა ფოთის ფლოტის სიამაყე „აიუ-დაგი“, რომელიც ივლის შავი და აზოვის ზღვების საკურორტო ხაზზე. „აიუ-დაგის“ პირველი რეისი მოეწყო ფოთი-ბათუმის მიმართულებით.

ა. კომახიძე.

## სიახლეთა დაგადება

□ ზუგდიდში ამჟამად დადგმულია ათასზე მეტი ტელევიზორი. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ზუგდიდში ორჯონიკიძის ქუჩაზე გახსნა ტელევიზიის ატელიე, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ.

გ. თორდია.

□ მდინარე რიონის შესართავთან ზღვის სანაპიროსთან საექსპლოატაციოდ გადაეცა „დოსააფის“ ფოთის მაშველი სადგურის ახალი სამსართულიანი შენობა, მაშველი კატარღებისა და მანქანების დასაყენებელი ელინგი და სპეციალური ნავმისადგომი. შენობაზე მოწყობილია მაღალი კოშკი მდინარე რიონის კალაპოტში, ზღვის სანაპიროს გასწვრივ მობანავეთა, ნიჩბოსნებისა და გემების მოძრაობის სათვალთვალოდ.

ვ. ბაბუა.

□ საჩხერეში აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი 12-ბინიანი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მშენებლობასაც აწარმოებდა ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ ჭიათურმშენის სამშენებლო სამმართველო.

ამ დღეებში ახალმოსახლეობას იზეიმებს კიდევ 12 ოჯახი.

ა. ანასაშვილი.

## ლენინგრადი-იუჟნო-სახალინსკი

ლენინგრადი, 15 მაისი. (საქდესი). დღეს დაიწყო სამგზავრო თვითმფრინავების რეგულარული მიმოსვლა ლენინგრად-იუჟნო-სახალინსკის ხაზზე, რომლის სიგრძე 8,5 ათასი კილომეტრია. „ილ-18“ მთელ რეისს მოანდომებს 15 საათსა და 30 წუთს და შეჩერდება სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკსა და ირკუტსკში. თვითმფრინავები კვირაში ორჯერ იფრენენ.

— ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უგრძესი და საბჭოთა კავშირში ყველაზე გრძელი კონტინენტური ავიახაზია, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ჩრდილოეთის ტერიტორიული სამმართველოს უფროსმა ნ. გ. პორფიროვმა. — მგზავრი, რომელიც იუჟნო-სახალინსკიდან შუადღემდე გაფრინდება, ლენინგრადში ჩავა ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე.

მკითხველის რეპლიკა

# უკვდავება და საფლავები

არ დავმალავ, ყველაფერს გულახდილად ვიტყვი...

ამ ორი-სამი წლის წინათ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთმა მოსწავლემ კორიდორში შემაჩერა და მითხრა:

— მასწავლებელო, შინ ვანო სარაჯიშვილის ფირფიტა მაქვს, რამდენიმე დღით ვინათხოვრე, თუ გნებავთ, მოვიტან და ყველამ ერთად მოვისმინოთ.

ძალიან კარგი იქნება-მეთქი, ვუთხარი. თანაც ვთხოვე, რომ ცოტა რამ წაეკითხა ვანო სარაჯიშვილის ცხოვრებაზე და, ვიდრე მოსმენას დავიწყებდით, ამხანაგებისთვის მოეთხრო.

ადრე არასოდეს არ შემიმჩნევია ჩემი მოსწავლისათვის მუსიკის სიყვარული და, მართალი გითხრათ, ძალიან ნასიამოვნები დავრჩი ამ ამბით.

მეორე დღეს, შაბათს, ყველანი ერთ-ერთ დიდ საკლასო ოთახში შევიკრიბეთ... ვანო „ურმულსა“ და „თავო ჩემოს“ მღეროდა. ვინაიდან მხოლოდ ერთი ფირფიტა გვქონდა, „ურმულიცა“ და „თავო ჩემოც“ რამდენჯერმე მოვისმინეთ.

მერე ქართულ მუსიკაზე, ოპერა „დაისზე“, ზაქარია ფალიაშვილისა და ვანო სარაჯიშვილის მეგობრობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

სულ ბოლოში რომ მერვეკლასელი გოგონა იჯდა, წამოდგა და მორიდებულად იკითხა:

— ფალიაშვილი ხომ მთაწმინდაზეა დამარხული, მასწავლებელო?

— ფალიაშვილიც და სარაჯიშვილიც! — ხმამაღლა დაიძახა ვიღაცამ.

ოთახს კი ვანოს უებრო ხმა ეფინებოდა: „თაო ჩემო, ბედი არ გიწერია...“

კვირა დილით უკვე თბილისში ვიყავი. ჯერ მთაწმინდაზე ავედი, მერე დიდუბის პანთეონისკენ გავწიე. ვამბობდი გულში: ვინც იმ ჩვენს საღამოს ესწრებოდა, მეორე კვირას ყველას თბილისში ჩამოვიყვან, ზაქარიასა და ვანოს საფლავებზე ალმართულ ძეგლებთან ყვავილებს მივიტანთ-მეთქი.

დიდუბის პანთეონში მოხუცმა მესაფლავემ ცერად გადმომხედა:

— როგორ არ იცი, შვილო, ზაქარიაც, ვანოც და კოტეც ჩვენი ოპერის თეატრის ბაღში არიან დამარხულნი!

ხმა არ ამომიღია. ჩემს თავზე მომივიდა ბრაზი — რამდენჯერ ოპერის თეატრშიც ვყოფილვარ, ბაღშიც შემივლია, რა ღმერთი გამიწყრა, რომ იმ ძვირფას საფლავებზე აღმართულ ძეგლებს ვერ მოვკარი-მეთქი თვალი.

ერთ საათში უკვე ოპერის თეატრის ბაღში ვიყავი და გაწბილებული ვათვალიერებდი ყოველ კუთხე-კუნჭულს, მაგრამ ამაოდ. საფლავებზე აღმართული ძეგლები კი არა, გვარისა და სახელის აღმნიშვნელი წარწერაც ვერსად დავინახე.

ალბათ დამცინა-მეთქი ბერიკაცმა, ვფიქრობდი გულმოსული, თორემ როგორ შეიძლება, რომ ზაქარია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილისა და კოტე მარჯანიშვილის საფლავებზე ბალახს გადაევლო?

არა, ძველ მესაფლავეს არ დაუცინია. ახლახან კვლავ მომიხდა თბილისში ყოფნა და ოპერის თეატრის ბაღშიც შევიარე, მაგრამ ისევ იმედგაცრუებული გამოვბრუნდი.

არ ვიცი, რას უნდა მივაწერო ეს ამბავი — დაუდევრობას თუ უყურადღებობას. ალბათ ორივეს ერთად.

განა თქვენთვის არ დაუწყვეტია ამ ამბავს გული, ჩემო მკითხველო?!

გ. გერმისაშვილი,
პედაგოგი, მცხეთის რაიონი.

სამგამოფენო დარბაზში

# ფოტოსურათები მოგვითხრობენ...

[illegible]







სურათებზე: საკავშირო ფოტოგამოფენის — „შვიდწლედი მოქმედებაში“ ექსპონატები. ზემოდან ქვემოთ: ა. კლიმოვის „სიხარული“, ა. გოსტევის „მედიდმაღლენი“ და მ. ბოლოტოვის „მოსაწყენი თამაში“.

ხ. კილაძე, [illegible]

## შეხვედრა უცხოელ მეზღვაურებთან

ბათუმი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ბათუმის მეზღვაურთა კლუბი. მისმა ინტერნაციონალურმა სექციამ მეგობრობის საღამო გამართა. ამჯერად უცხოელ მეზღვაურებთან მივიდნენ ბათუმის მანქანათსაშენებლო ქარხნის მოწინავენი და მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი.

საღამოს მონაწილეებს ხალხთა მეგობრობის შესახებ ესაუბრა მეზღვაურთა კლუბის ინტერნაციონალური სექციის გამგე პ. ტეპლიაკოვი. მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივის შრომისა და ცხოვრების შესახებ ილაპარაკეს ამ საწარმოს ინჟინერ-კონსტრუქტორმა ზ. ხომერიკმა და ამწყობმა ზეინკალმა ნ. შაბლიევმა.

საღამოს ესწრებოდნენ ინგლისის გემის „როლდინჰემ ჰილის“, შვეიცარიის „სელერინას“ და პოლონეთის „ორნაკის“ ეკიპაჟის წევრები. დარბაზში დიდხანს გაისმოდა სხვადასხვა ენებზე მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სიმღერები.

## კინოფილმებს იყენებენ თვალსაჩინოებისათვის

ახალციხის რაიონის მაღალმთიანი სოფლის ანდრიაწმინდის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები დიდი სიხარულით შეხვდნენ კინოაპარატურის მიღებას. სკოლაში ჩამოყალიბდა ნორჩ კინომექანიკოსთა წრე, რომელშიც გაერთიანდნენ VI-VIII კლასების მოსწავლეები.

კინოფილმებს იყენებენ თვალსაჩინოებისათვის, კინოგაკვეთილები ტარდება ქიმიაში, ფიზიკაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში.

გ. ინასარიძე.

# რამ გაანაწყენა ბობი?

• ამსტერდამის პაექრობის წინ •

გამარჯვების დღე — 9 მაისი — დიდი დღესასწაულია ჩვენი ხალხისათვის, პროგრესული კაცობრიობისათვის. მ. ბოტვინიკისათვის 9 მაისი ორმაგ დღესასწაულად ითვლებოდა. ამ დღეს, 1948 წელს, მან, როგორც პირველმა საბჭოთა გროსმაისტერმა, მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. და კვლავ 9 მაისს, 1958 წელს, მატჩ-რევანშში მან მოუგო ვ. სმისლოვს.

ახლა მ. ბოტვინიკი ცოტათი ცუდ გუნებაზეა. მატჩ-რევანში გაუქმებულია. და იგი ალბათ ვეღარ გაშორდება თავის „ექს“-ს. თბილისში ახსოვთ მისი გამოსვლა ტელევიზიით, როცა მ. ბოტვინიკმა კითხვაზე — კიდევ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლაშიო, გასცა „ზუსტი“ პასუხი: შეიძლება მივიღო მონაწილეობა, შეიძლება არაო.

ტ. პეტროსიანს სხვა ბედნიერი დღე აქვს — 20 მაისი. სწორედ ამ დღეს ავიდა იგი საჭადრაკო ოლიმპზე. ჭადრაკში პრემიერობის პირველ წლისთავზე ტ. პეტროსიანს ასაღელვებელი არაფერი აქვს, 1966 წლამდე „შეუძლია მშვიდად იძინოს“.

მაგრამ 1966 წლის „თავდასხმის ა თ ვ ი ს“ მზადება გამალებით მიმდინარეობს. ვისთან მოუხდება ბრძოლა ტ. პეტროსიანს? დღეისათვის — ამსტერდამის პაექრობის დაწყებამდე — თეორიულად 26 მოჭადრაკეს აქვს იმედი „მისწვდეს“ „ტიგრან IX“-ს. ესენი არიან მ. ბოტვინიკი (იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს იტყვის, — ე. გელერი), პ. კერესი და მომავალი საზონათაშორისო ტურნირის კიდევ 24 მონაწილე. ამსტერდამის შემდეგ ტ. პეტროსიანისათვის უკვე უფრო ადვილი იქნება „მიხვდეს“, თუ ვინ ემუქრება მას, რადგან 8 კაცი დარჩება.

ამსტერდამის ტურნირი დაიწყო „სენსაციით“. ბრძოლაზე უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა რობერტ ფიშერმა. მე რამდენჯერმე ველაპარაკე მ. ეივეს, ლ. პახმანს და სხვა გროსმაისტერებს. რაშია საქმე, რა არის მიზეზი? არავინ არ იცის. ბობი დუმს. მისი ხასიათი (არც თუ ძალიან კარგი) მე ვიცი, ამიტომ არ დავუწყეთ რეკვა ნიუ-იორკში. მახსოვს, 1938 წელს როგორ ჩამოვიდა პირველად ლენინგრადში ს. რეშევსკი. საჭადრაკო გაზეთ „64“-ის კორესპონდენტმა მას ინტერვიუ სთხოვა. „სიამოვნებით, რამდენს გადამიხდით?“. ამ კითხვით გაოცებული კორესპონდენტი არ დაიბნა და ჰკითხა: „ამერიკაში რამდენს იხდიან ინტერვიუსათვის?“. რეშევსკიმ უპასუხა: „ამერიკაში ინტერვიუსათვის არაფერს არ იხდიან“. „ამ შემთხვევაში ჩვენ ამერიკულ ტრადიციებს დავიცავთ“, — უთხრა საბჭოთა კორესპონდენტმა. რეშევსკიმ უსასყიდლოდ ისაუბრა.

მაგრამ ფულის საქმეებში ბობი ფიშერი კიდევ უფრო „ძლიერია“, ვიდრე რეშევსკი. იგი ძალიან მკაცრია და უსასყიდლოდ არაფერს არ ამბობს. არავითარი ინტერვიუ! კითხვები კი მას მხოლოდ წერილობითი ფორმით უნდა მისცენ! ბობი ჰონორარს მოითხოვს იმ შემთხვევებშიც კი, როცა მის პატივსაცემად გამართულ სადილზე პატიჟობენ!

რატომ უნდა დავურეკო ყოყოჩა ბობის ნიუ-იორკში? თვითონ შემიძლია მივხვდე, თუ რა არის ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის უარის მიზეზი. მას ხელს არ აძლევს მატერიალური პირობები. მას თავისი თავი ექსტრაკლასად, მთავარ „ატრაქციონად“ მიაჩნია და ყოველთვის მოითხოვს ფულის დამატებით „დაყაჩვას“. სწორედ ამ მიზეზით არ ითამაშა მან შარშან ლოს-ანჯელოსში.

დეგ (იქნება ამ დღეებშიც!) რ. ფიშერი გააუქმებს თავის სიას და ხმაურით განაცხადებს, რომ საერთოდ მიაჩნია რომ ჭადრაკის ისტორიაში მხოლოდ ერთი დიდი მოჭადრაკეა — რობერტ ფიშერი!

ამაზე კიდევ ბევრი შეიძლება დაიწეროს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: დასანანია, რომ ფიშერმა უარი თქვა. ამის გამო სინანულს გამოთქვამენ საბჭოთა მოჭადრაკეებიც, რადგან ყოველი ტურნირი, რომელშიც ფიშერი მონაწილეობს, უფრო მწვავე, საინტერესო, დაძაბული და „მხიარულია“.

ჩანს, ფიშერს თავი უკვე მიაჩნია ისეთ ფიგურად, რომ ფიდე მას პერსონალურად დაუშვებს პრეტენდენტთა ტურნირზე ან პირდაპირ ტ. პეტროსიანთან. თუ ეს ასეა, ფიშერი ანგარიშში მოტყუებულა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თავისი უარით ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა ჩემპიონმა შელახა ფიდეს ავტორიტეტი, აწყენინა ჭადრაკის მოყვარულებს. მისი უარი მახინჯი ჟესტია თავისი კოლეგების მიმართ მთელი საჭადრაკო სამყაროს ათსავე ზონაში.

გარდა ამისა, ბობი ფიშერს აშკარად თავბრუდაეხვა წარმატებისაგან. წარმატება ამერიკის შეერთებული შტატების უკანასკნელ პირველობაში — თერთმეტი ქულა თერთმეტიდან! — მართლაც ფენომენალური იყო. სწორედ ამიტომ საჭადრაკო სამყარო ინტერესით მოელოდა მის გამოსვლას მსოფლიოს პირველობის გათამაშების ამ ციკლში. მაგრამ წარმატებამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ დააბნია თავბრუ ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა ჩემპიონს. მან ხელთ აიღო კალამი და ჟურნალ „ჩეს-უორლდში“ (საჭადრაკო სამყარო) ისტორიის წამყვან მოჭადრაკეთა ათეულის სია შეადგინა. ვინ გაბედნიერა ბობიმ, ვის არგუნა ეს „პატივი“ და ქება. აი „ფიშერის სია“: პ. მორფი, გ. სტაუნტონი, ვ. სტეინიცი, მ. ჩიგორინი, ზ. ტარაში, ა. ალიოხინი, ხ. კაპაბლანკა, ს. რეშევსკი, ბ. სპასკი, მ. ტალი.

„ფიშერის სიაში“ არ არიან მსოფლიოს ჩემპიონები ე. ლასკერი („ერკვეოდა“ ჭადრაკში, 27 წელს იყო ჩემპიონი), მ. ეივე, მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, ტ. პეტროსიანი.

რაშია საქმე? რობერტ (იგივე ბობი) ფიშერი თავის ფილოსოფიურ განმარტებას იძლევა: სავალდებულო არ არის მსოფლიოს ჩემპიონი იყო, რომ დიდ მოჭადრაკედ ითვლებოდე.

თვითონ ფიშერი სადღა არის? გასაგებია, რომ „თავმდაბლობის“ გამო მას ეუხერხულებოდა საკუთარი თავი შეეტანა „დიდთა ათეულის“ სიაში. მაგრამ გამოსავალი მონახულ იქნა: ეს გააკეთა ჟურნალის რედაქტორმა, რომელმაც თავისი სახელით დაუმატა: „გასაგებია, რომ რ. ფიშერიც მოქცეულ უნდა იქნას ამ სიაში“. წესი დაცულია!

ფსიქოლოგიურად ადვილი გასაგებია, რომ თუ ჭაბუკი თავის თავს უკვე დღეს „დიდად“ თვლის, მისთვის „უხერხულია“ წავიდეს ამსტერდამში და ეთამაშოს რომელიღაც „პიჟონებს“, როგორც იგი ყველას უწოდებს. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე ხნის შემ-

ყველა მათგანი მაღალ დისციპლინას იჩენს. ნაცვლად იმისა, რომ ამსტერდამში ჩასულიყო, მან ამჯობინა გასტროლები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში და იქ სეანსების გამართვა. საჭადრაკო სამყარო არ დაივიწყებს ნიუიორკელი პრიმადონის კაპრიზს. ირონიულად იღიმებიან და ამბობენ, უცნაური ახალგაზრდააო.

თუ შეიძლება ასე ითქვას, ამსტერდამში ორი ტურნირი იქნება: ჩვენი შესანიშნავი ხუთეული იბრძვის სამი ადგილისათვის, 19 უცხოელიც — ამდენივე ადგილისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძნელი, არასახარბიელო, ნერვული, ძალიან ნერვული მუშაობა მოელით ჩვენს გროსმაისტერებს. ვთქვათ ჩვენმა გროსმაისტერებმა ყველა პირველი ადგილი დაიკავეს (სავსებით შესაძლო ვარიანტია). ამ შემთხვევაშიც კი ტურნირში მოხვდება მხოლოდ სამი გროსმაისტერი, მეოთხე და მეხუთე პრიზიორებმა კი თავიანთი საგზურები პრეტენდენტთა ტურნირზე უცხოელ მონაწილეებს უნდა დაუთმონ, რადგან პრედენტენტთა ტურნირში მონაწილეობა შეუძლია სულ ბევრი ხუთ კაცს ერთი ქვეყნიდან (ბოტვინიკი და კერესი უკვე იქ არიან!).

აი რაშია ჩვენი გროსმაისტერების ბრძოლის სირთულე. ტურნირში ისინი თვითონვე იქნებიან ურთიერთის ძირითადი მეტოქეები!

ზოგი რამ შესაძლოა უკვე სტარტზე გამოირკვეს, რადგან იქ ალბათ იქნება ხელოვნური წილისყრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ქვეყნიდან ჩამოსული მონაწილეები ერთმანეთს დასაწყის ტურებში უნდა შეხვდნენ.

როგორია ჩვენების შანსები? — აბსოლუტურად თანაბარი. თვითეულ საბჭოთა მოჭადრაკეს ექვსეულში მოხვედრის ისეთივე შანსები აქვს როგორიც „ამოვარდნისა“. ვის გაუღიმებს ბედი, ვისი ნერვები უკეთ გაუძლებს. ჩვენმა ზონალურმა ტურნირმა მოსკოვში ცხადყო, რომ თანაბარი შემადგენლობის დროს შესაძლოა ყოველი შედეგი და ანგარიშში მიღებული არ იქნება არავითარი „უნდა“. ამიტომ ტიტულ „ექს“-ის მქონე ორი ბუმბერაზიც კი ვ. სმისლოვი და მ. ტალი უნდა „თრთოდნენ“.

ძალიან ძლიერია ამერიკელთა სამეული: ს. რეშევსკი, ლ. ევანსი (ნაცვლად რ. ფიშერისა) და პ. ბენკო. უკანასკნელმა ამ დღეებში მოუგო მატჩი ა. ბისკაიერს ამსტერდამის ტურნირში მონაწილეობის უფლებისათვის, ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი ამერიკელი, შესაძლოა მოხუცი რეშევსკი მოხვდეს ექვსეულში.

ამბობენ, ს. გლიგორიჩიც „უნდა“ მოხვდესო.

ძლიერი ტრიოა უნგრელი მოჭადრაკეები — ლ. პორტიში, ლ. ლენდიელი და ი. ბილეკი. განსაკუთრებით დიდად ფასობს ლ. პორტიშის აქციები. კარგ ფორმაშია ლ. პახმანი. ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე ბ. ლარსენს (როგორც გროსმაისტერი, იგი „დაიბადა“ მოსკოვის 1956 წლის ოლიმპიადაზე), კ. დარგას (ფრგ), გ. ტრინგოვს (ბულგარეთი), ბ. ივკოვს (იუგოსლავია).

მაგრამ დანარჩენებიც, რომელთა შორის ბევრი დებიუტანტია საზონათაშორისო ტურნირებში, არ აპირებენ აუტსაიდერების როლი ითამაშონ. პრეტენდენტთა სიაში თუ ვერ მოხვდებიან, ყოველ ახალბედას შეუძლია „საქმე წაუხდინოს“ ვისაც გნებავთ.

აზრი არა აქვს პროგნოზებს გავყვეთ. ტურნირის ოცდაოთხსავე მონაწილეს სურს მოხვდეს. ვინ „მოვალეა“, ვინ „უნდა“ მოხვდეს, ვინ „დანამდვილებით“ მოხვდება — ამას მომავალი გვიჩვენებს.

იწყება საჭადრაკო მარათონი. იგი 35 დღეს გაგრძელდება!

მეც ვაპირებ პირადად დავესწრო ამ დიდ ტურნირს. ვეცდები ვაუწყო „კომუნისტის“ მკითხველებს, თუ რა ხდება იქ, ჰოლანდიაში, მ. ეივეს ქვეყანაში. ეჭვი არ მეპარება, რომ, როგორც ჩვეულებრივ, ყველაფერი რიგზე იქნება.

სპორტის მოყვარულებს კი ვთხოვ „ფეხბურთისაგან თავისუფალ დროს“ არ დაივიწყონ ჩვენი მოჭადრაკეები. ძნელი, უმძიმესი მუშაობა ელით მათ ამსტერდამში.

ს. ფლორი,
გროსმაისტერი.

## ვ. ლიპსნისის რეკორდი

ცნობილ საბჭოთა მძლეოსან ვ. ლიპსნისს იერიშები მიაქვს საკუთარ რეკორდზე. მისი უკანასკნელი გამოსვლა აღინიშნა ახალი წარმატებით — ბირთვი კრა 19 მეტრსა და 23 სანტიმეტრზე და 19 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისავე საკავშირო რეკორდი. ეს შედეგი საუკეთესოა ევროპაში.

## ლიდერი პოზიციებს არ თმობს

გუშინ შედგა მშვიდობის ველორბოლის მორიგი მეშვიდე ეტაპი. ლიდერმა — ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ი. სმოლიკმა ტრადიციას არ უღალატა და პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი. თითქმის ერთდროულად მივიდა ფინიშთან 14 ველომრბოლი. მათ შორის იყო ორი საბჭოთა სპორტსმენი — კაპიტონოვი და კულიბინი. სსრ კავშირის გუნდმა მეშვიდედან მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

• ამინდი

## გაზაფხულის სუნთქვა

საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ ევროპულ ტერიტორიაზე გაზაფხული ძალაში შევიდა. თოვლი სულ უფრო უკან იხევს ჩრდილოეთისაკენ. გასულ კვირას თბილი ამინდი იდგა (20-25 გრადუსი დღისით) სამხრეთ უკრაინაში და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ ადგილებში იყო ძლიერი წვიმები და ჭექა-ქუხილი და მხოლოდ უკანასკნელ დღეებში ოდნავ აგრილდა, წვიმები კი შესუსტდა. ასევე თბილოდა უკრაინის დანარჩენ ნაწილებსა და ბელორუსიის მეტწილ რაიონებში.

დასავლეთ ციმბირის ჩრდილოეთში და კრასნოიარსკის მხარეში ჯერ კიდევ ზამთარი ბატონობს: თოვს და მძვინვარებს ქარბუქი, ყინვა ღამით 20-25 გრადუსს აღწევს. ამავე მერიდიანებზე, მაგრამ უფრო შორს სამხრეთით, შუა აზიის რესპუბლიკებში ქარმა და გაზაფხულის მზემ ჰაერი გაათბო 30 გრადუსამდე, ალაგ-ალაგ 36 გრადუსამდე. მაგრამ შემდეგ სიცხემ აქაც რამდენადმე დაიკლო.

შუა კვირაში კარის ზღვიდან წამოსული ცივი ჰაერის ნაკადი შეერია სამხრეთის ჰაერს. ამან გამოიწვია ტემპერატურის მკვეთრი დაცემა ყაზახეთის სამხრეთ რაიონებში (ღამით სუსხიც იყო).

როგორც პროგნოზების ცენტრალური ინსტიტუტი იუწყება, უახლოეს ორ-სამ დღეში მურმანსკისა და არხანგელსკის ოლქებში, აგრეთვე კარელიაში უმთავრესად იქნება ღრუბლიანი ამინდი. ალაგ-ალაგ მცირე წვიმა, ტემპერატურა ღამით პლუს ერთი, პლუს 6, დღისით — პლუს 9-14 გრადუსი.

ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში ხანმოკლე აგრილების შემდეგ ჰაერის ტემპერატურა კვლავ აიწევს (ღამით 5-9 გრადუსამდე, დღისით 16-21 გრადუსამდე).

უკრაინაში, მოლდავეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ზოგჯერ გამოიდარებს, იქნება ხანმოკლე წვიმა, ალაგ-ალაგ ჭექა-ქუხილი.

ჭექა-ქუხილი და წვიმები იქნება ვოლგისპირეთში. კომის ასს რესპუბლიკაში, ჩრდილოეთ და შუა ურალში კვლავ თბილი ამინდი იქნება დღისით, ღამით კი ნისლი. დასავლეთ ციმბირის ჩრდილოეთში და კრასნოიარსკის მხარეში მოიღრუბლება, ზოგან მოთოვს. დასავლეთ ციმბირის სამხრეთში და ყაზახეთში კვლავ იქნება ნაკლებ ღრუბლიანი მშრალი ამინდი. ჭექა-ქუხილი და წვიმები იქნება ტაჯიკეთსა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში. (საქდესი).

მოსკოვი, 15 მაისი.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### თეატრი

17 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაუპატიჟებელი სტუმრები (დღისით), ბოჰემა (საღამოს, 1-ლი აბონ. მე-9 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — მეტეხის ჩრდილში (დღისით გაცდენილი აბონემენტები, საღამოს აბონ. გარეშე), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — პოეზიის საღამო (საღამოს აბონ. გარეშე), მარჯანიშვილის სახელობის — ჩემი ყვავილეთი (დღისით, 22-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს, მე-7 აბონ. მე-6 წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — საჭიროა მატყუარა (დღისით და საღამოს).

### ტელევიზია

18 მაისი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.15 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.35 — კინოჟურნალი „ახალი ამბები“ № 16, 18.45 — გადაცემა — „ახალგაზრდობის ღვიძლი საქმე“, 19.00 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 6, 19.10 — გადაცემა ციკლიდან — „ახალი წიგნები“, 19.25 — დოკუმენტური ფილმი „მანოლის გლეზოსი — ელადის შვილი“, 20.15 — გადაცემა ციკლიდან — „ქართველი ხელოვნების ოსტატები დიდ თეატრში“ — ტიციან შარაშიძე, 20.45 — მხატვრული ფილმი „ზოლიანი რეისი“ (ქართული ვარიანტი), 22.10 — ახალი ამბები.

19 მაისი

12.00 — მხატვრული ფილმი „ზოლიანი რეისი“ (ქართული ვარიანტი), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — „პიონერული ახალი ამბები“, 18.25 — პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონცერტის ტრანსლაცია, 19.10 — გადაცემა — „გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი“, 19.25 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 10, 19.35 — გადაცემა — „დიდი ქიმიის პრობლემები“, 19.55 — ჟურნალების „ლიტერატურნაია გრუზია“ და „ლიტერატურნაია არმენია“ ფურცლებზე, 20.35 — მხატვრული ფილმი „დარკლე“, 22.20 — ახალი ამბები.

„დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პროსპ. № 2)



17 მაისს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობის გათამაშება
„ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის
„მეტალურგი“ ზაპოროჟიე — „ლოკომოტივი“ თბილისი
(ძირითადი შემადგენლობანი)
დასაწყისი 18 საათზე.

კომუნისტი სპორტი

## მესამე შეხვედრა, მესამე გამარჯვება

ჰელსინკი, 16 მაისი. (საქდესი). სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუშინ მესამე მატჩი გამართა ფინეთის გუნდთან. შეხვედრა მოეწყო ლაჰტში და კვლავ საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 81 : 62 (43 : 26).

●

## „ედნოტა“ კვლავ დამარცხდა

ჩეხოსლოვაკიის საკლუბო გუნდი „ედნოტა“ განაგრძობს ტურნეს საბჭოთა კავშირში. ლენინგრადში არასახარბიელო სტარტის შემდეგ იგი ეწვია მოსკოვს და გუშინ შეხვედრა ჰქონდა ცსკა-ს ფეხბურთელთა კოლექტივთან. მართალია, სტუმრები შეუპოვრად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ — 0 : 1.

## დღეს მეათე ტურია

დ ღ ე ს გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტურის მატჩები ფეხბურთში. ქუთაისის ტორპედოელები როსტოვში ხვდებიან ადგილობრივ სკა-ს, თბილისის დინამოელები დონეცკში — „შახტიორს“.

როსტოვიდან მატჩის ტრანსლაცია შედგება 19 საათსა და 20 წუთზე, დონეცკიდან — 19 საათსა და 45 წუთზე.

## დევისის თასზე

გუშინ დაიწყო დევისის თასის გათამაშების მეორე ეტაპი ჩოგბურთში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გუნდების პაექრობის სტარტზე თ. ლეიუსმა და ა. მეტრეველმა წარუმატებლობა განიცადეს.

## მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა „ბ“ კლასის გუნდების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

ბათუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ქ. კაფანის „ლერნაგორეცის“ გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა. გაიმარჯვეს ბათუმელებმა.

სოხუმში ლენინაკანის „შირაქს“ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „დინამოსთან“. მეტოქეებმა აქტივში თითო ქულა ჩაიწერეს ისე, რომ ბურთი არ გაუტანიათ.

ფოთის მატჩი უხვგოლიანი აღმოჩნდა. აქ „კოლხიდისა“ და კიროვაკანის „ლორის“ ასპარეზობა დამთავრდა ფოთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 2.

## თბილისის კორტებზე

დამთავრდა თბილისის ჩოგბურთელთა საქალაქო ტურნირი. ფინალურ ასპარეზობაში წარმატება ხვდათ: ქალთა შორის რ. აბჟანდაძეს, ვაჟთა შორის გ. ახალაძეს. მათ ერთეულთა პაექრობაში პირველი ადგილები დაიკავეს.

## თამაშობენ დუბლიორები

გრძელდება „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების დუბლიორთა შეჯიბრება ფეხბურთში. გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე მატჩი ჰქონდათ ზაპოროჟიეს „მეტალურგისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოთამაშეებს. წარმატება სტუმრებს ხვდათ. ანგარიშია 2 : 1.

## გაზეთ «კომუნისტის» რედაქციას

ნება გვიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება პროფესორ ივანე სიხარულიძის გარდაცვალების გამო.

პროფესორ ივანე სიხარულიძის ოჯახი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი КОМУНИСТИ ИНДЕКС 68443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 3-46.10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, [illegible] — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-34-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

[illegible] თბილისი, ლენინის ქ. № 14.